ქმნება გარდა ამისა; ამიტომ ეს წიგნი სახალხო საკითხავ წიგნად  
უნდა განსჯეს და განდება კიდევ, მაგრამ გამოდგება მერე სახლისა-  
თვის ამისთანა გაურკვეველი წიგნი? შეუძლიან განა „უსარგებლო და  
უგნური დაზრები“ თავ-გატენილს ამ წიგნით სარგებლობა?!...

მ. სოკოლოვის წიგნს ერთი ძვირფასი თვისება აქვს ვიდეო,  
რომელიც მართლაც სასოგადო სასმარ წიგნად ხდის იმას: იქ ყოველი  
უნდა სიტყვა განმარტებულია, რის გამოც მისი ენა ყველასთვის  
ადვილად გასაგებია. თარგმანი ამ თვისებასაც მოკლებულია და ამით  
დედანს სწულად აღარ ეთანხმება. მე, რასაკვირველია, ამ ცუდილებას



არ მივაქცევდი ყურადღებას, თუ რომ ეს არ ართმევდეს ღირსებას ნათარგმნს, რომელიც ამის გამო კვლავ გამოდის „ღირსეულად თავისის მშენიერის დანიშნულებისა“ რადგან იქ მრავალს უცნობს სიტყვას ატყუება მკითხველი და რას ნიშნავს ეს სიტყვა — ამის პასუხს ეს წიგნი არ მისცემს მას, თავიდან ბოლომდის რომ გადააფორიანქოს მაინც, მე მოგასსენებთ შემდეგ ზღა: მ. სოკოლოვს ყოველი ლოცვა არ აქვს განმარტებული სრულად; მაგრამ არც ლოცვაში და არც ფაქტში უცნობს სიტყვას არ სტოკებს აუხსნეულად — უსათუოდ ნასავთ ან ცალკე და ან იქვე სიტყვის განმარტებას და იქ-აქ მთელი წინადადების განმარტებასაც. ეს სისტემა უარ-უყვია მთარგმნელს, მაგრამ რატომ? მიტომ ხომ არა, რომ ეკვლეისური ენა, რომელზედაც დაწერილია ლოცვები გასაგებად მიანდეს ყველასთვის?!....

მე საბუთი მაქვს მოგასსენოთ, უფ. დიდებულიყო, რომ ჩვენს უმაწვილებს და ოჯახის-შვილებს ენის უცოდინარობას სწამებს. აი თუ არა: იმას აქვს ახსნილი სიტყვა-კრავი, ეს ნიშნავს ბატკანსაო, მეორე ჯდგილას განმარტებს სიტყვას-ტოტს, რტო არისო, არ სტოკებს აუხსნეულად არც სიტყვას-წივის. ახლა როგორ ჭიუჭრობთ — იმ უმაწვილს, რომელმაც არ იცის კრავი რომ ბატკანს ქვია და ტოტს რტო, შეუძლია თუ არა ძველს ენაზედ დაწერილი ლოცვა თუნდ ამბავი გარგოს, თუ მასთან განმარტება არ მიწევებს?!... და უფ. დიდებულიძეს ვი ასე ჭგონია! რომ ჩემი სიტყვა უსაფუძლოდ, ლიტონ სიტყვად და უბედობად არ მოეჩვენოს მკითხველს, მე მოვიყვან მოწმედ თვითონ იმ სიტყვებს და წინადადებაებს; რომელზედაც მოგასსენებთ. იმას ნათარგმში სსვათა შორის არ აქვს განმარტებული შემდეგი სიტყვები და წინადადეგები: ცხედარი, ბავი, ყოვლად-სახიერო, გულის-სმის-ყოფა, გარდამოგვივლენე მადლი სულისა წმინდისა, ღვთის სათნო ყოფა, შენ გესავთ, საუნჯეო კეთილთაო, იგავი, თანამდები ტალანტისა, აღიხნეს ღამმარნი, აღიგზნეს, წველი, სათნო კიყავ, ყოველსავე ადავსებ მადლითა შენითა, მეოხებითა, შეწყნარება, სინედრიონი, დამთრგუნველი, სასწაული, მასკილითა წარწყმედა, სკიპ-

ტრა, ნებსათი შეცოდება, მტრია, აგარაკი, მწედარი, ძალთა სულთა და სს.

ამის გარდა უფ. დიდებულიეს თითქმის ყველს იგაკუბი და სსკა ადგილებიც სძინად შეუცვლელად აქეს გადმოწერილი სსსარებიდგან; ზის, რასაკვირველია, ბევრი გაუგებარი წინადადება შექყავს ნათარგმნიში, მე მოვიყვან აქ რამოდენიმეს მათგანს: მისტეს მას (იესოს)! უფალმან ღმერთმან საუღარი დავითისა (გვერ. 63); ორი დრანკანი მისტა ყოველთა სადგურის მოღვაწესა მას და რქვა; იღვაწე ებ (გ. 110); არი ცილიჭიუტო, არამედ მიეტ უფალსა ფიცი შენი; ნუ ჭიუტავ ცასა, რამეთუ საუღარი არის ღვთისა, ნუტა ქვეყანასა, რამეთუ კარცსლბეკი არს ფერსთა მისთა (გ. 112); ედგას ცხოვარი ერთი; ვიმარსავ ორ-გზის შაბათსა შინა (გ. 115); არა იკადრებდა თვალთაგან ზე აღსილვად (გ. 115); გარდამოვიდა სსსით ივისად; არა ნამეტან ვისამე არს ცხოვრება მისი ნაყოფთა მისთაგან (გ. 120); დვირესა თვალსაშინა შენსა არა განიცდი (გ. 118); სულა გაქეს მრავალი კეთილი, დაუნჯებული მრავალთა წელთა (გ. 120); უადვილეს არს აქლემი განვსლად სვრელსა ნემსისა (გ. 122); რა სქიან ჩემთვის კაცთა მისა კაცისა ყოფად? (გ. 131); ვიდრემდის სულთა ჩვენთა წარკვსდი? (გ. 130); რაი არს სსსწაული იგი მოსვლისა (მეორედ) შენისა და აღსასრულბ ამის სობლისა? (გ. 137). შენნი შენთაგან შენდა შემწირველნი ყოველთა და ყოვლისთვის (გ. 199) და სს. და სს... ყველანი ადვილად დამეთანსმებინ, რომ ამისთა სატუეებისა და წინადადებაებისაგან თავისუფალი უნდა იყოს ყოველი საყმაწვილო წიგნი. ამათას წყალობით ეს ნათარგმნი მოკლებულია იმ თვისებას, რომელიც ყოველს წიგნს უნდა ჰქონდეს, თუ უნდა რომ სსსაღსო სავითნავ წიგნად განდეს — ის არ არის დაწერილი „ყველასთვის გასაგების ენით.“

ამას კიდევ არაფრად ჩანებდა კაცი, თუ რომ სსკა უარესი ნაკლულევანებით არ იყოს სავსე ეს „პატარა წიგნი.“ ამ წიგნის ენა არ განსლავს „სამაგალითო და მისაბამავი“ ენა — ბევრგან ჭზრი არის

გამოთქმული ბნელად, დაბნეულად და გაჭიანურებულად, სასმარია ერთობ ბევრი „ნაცვალ-სასელი“, რომელიც ჩვენს ენას არ შეშვენის; ეს „ნაცვალ-სასელები“ ემაწვილს გზას უსლართოვან და უბნევეს, გარდა ამისა ნათარგმნიც არ არის კარგი; მე იმას მოგასსენებთ, რომ უფ. დიდებულდიქს სწორად ვერ გადმოუღია მ. სოკოლოვის წიგნი, ამიტომ ფაქტების მსრითაც ნათარგმნში გაფანტულია იქ-იქ შეუდომები. მე ძალდასწრებით მიგვიჩინებოდა გამოეპარა ეს მ. სულიერს ტენსურს? ამის დასამტკიცებლად საკმაოდ შევადარებთ ზოგიერთი ადგილები დედანისა და ნათარგმნის — ეს შედარება გვაჩვენებს ჩვენ როგორც უფ. დიდებულდიქს ენის სიღარიბეს, ისე ფაქტების უსწორობასაც...

მ. სოკოლოვს აქვს თავის წიგნში: „იმ მთავარ-ანგელოზს, რომელმაც დაუწყო ღმერთს წინააღმდეგობა და ცილის-წამება, ჩვენ ვეძახით ეშმაკს (ДІАВОЛЬ-ცილისმწამებელი) და იმისგან შეტყობილს ანგელოზებს-ეშმაკის ანგელოზებს (СЪСАМИ И АНГЕЛАМИ ДІАВОЛА).“ უფ. დიდებულდიქს ეს ადგილი ასე აქვს გადმოთარგმნილი: „იმდროინათ იმით (ეველანთროტ ანგელოზებს) სასულად ეწოდათ ეშმაკი; ანუ კენა.“ (ტ. მ. შ.) (რას უნდა იყოთ კენა?! მართლდა, სამდვთო წერილში ბევრგან არიან ნახსენები ბოროტი ანგელოზები ეშმაკებად; მანგრამ არ იქნებოდა ურიგო, რომ ეს სასულიერ-ეშმაკის ანგელოზები შეეტანა, რადგან ამასაც სპირიტუალურად შესწავლა კაცი; მაგ. ქრისტე ამბობს: „წარუდით ჩემგან, წყუელნო, ტყუელსა მას საუფუნელსა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის“ (გ. 136). უბრალო მეთისველმა ბოროტმა უნდა გაიგოს ეს ადგილი, როდესაც არ უნებლობით მისთვის, თუ რას ნიშნავს-ეშმაკის ანგელოზი.“ სასოგადოდ ეს ადგილი ვერ არის ნათარგმნში კარგად ნათქვამი: იქ სწორია-„იმით ანგელოზი, ძალღის საჩისისისა, გაამხარტავნდა... და იმ გვარათ მიიზიდა თავის მსარეზედ სხვაც მრავალი ანგელოზი.“ რა გვარათ მიიზიდა ამასევე პასუხი არ ეძლევა ემაწვილს და თვითონ სიტყვაც-„იმ გვარათ“ უარყოფთ არის ნახმარი. უფ. დიდებულდიქს ამბობს; „მესამეში ტანჯო (ღმერთმა) მიწა და წყალი ცალ-ცალკე.“ ეს

რომ ასე ეთქვა: მესამე დღეს გაჩყო მიწა წყლისაგან, — მგონი ბევრად ავირბებდა, მიტომ რომ „ცალ-ცალკე გაჩყო“ უფრო იმას ნიშნავს, თითქო ჯერ მიწა გაეყოს და მერე წყალი. როგორ მოგწონთ ეს გამოთქმა: „იმის (ბაღის) შუა იდგა სე ერთ-ნაირი სე, რომლისაგანაყოფისაგან ჰქონდა ის ძალა, რომ იცავდა კაცსა... (გ. 11)“ ან ეს: „გამოუცხადებდა (ღმერთი) იმათ (ადამსა და ევას) თავის ღვთაებრივს გამოცხადებას (გ. 12).“ „დედანი სწერია:“ ДАВАЛЪ ИМЪ...“ ან ეს: „ისინი (პირველი კაცები) სცდილობდენ შეეყვარებინათ ღმერთი (გ. 11)“ ეს იმას ჭკავს, თითქო ისინი ძალას ატანდენ თავის თავს მანც და მანც შეეყვარებოდათ ღმერთი; მაგრამ ამ ჭასრით არა აქვს ნათქვამი: მ. სოკოლოვს: „научались любить Творца.“ ერთი მიბრძანეთ, როგორ გესმისთ ეს: „იმან სასტიკად აღუკრძალა (პირველ კაცებს) ჭამა ერთ-ნაირის ნაყოფისა, რომელიც იყო სამოთხეში და რომელსაც ეწოდა სე კეთილისა და ბოროტის ცნობისა.“ (გ. 12) რას ეწოდა სე? ჭკითხავთ ყმაწვილს. „ნაყოფისაო,“ მოგიგებსთ... აი დედანში როგორ არის: „Онъ запретилъ имъ подѣ стряхомъ смерти ѣсть плоды одного дерева въ раю, которое назвалъ и т. д. სომ კარგი ნათარგმნია!....

ნათარგმნში სწერია: „ადამ, სადა ხარ?“ ჭკითხა იქას უფალმა, „იქნება სტამე შენა აღკრძალული ნაყოფი.“ მკმინ ადამმა მიუგო იქას: „შენგან ბოძებულმა ცოლმა შემატდინა მე; მე იმან მომცა ის ნაყოფი და მე მართლათ შეეჭამე ისა.“ ახლა დედანისა მოისმინეთ: „ადამ, სადა ხარ?“ ჭკითხა უფალმა, ადამმა მიუგო: „მე შემეშინდა, შემტყუა: შიშველი ვარ და მიტომ დავიმადე.“ უფალმა ჭკითხა: „აღკრძალული ნაყოფი სომ არ გიჭამიაო?“ ადამმა ბრალი თავის ცოლს გადაადგა, უთხრა: „შენ რომ ცოლი მომეტე, იმან მომიტანა ნაყოფი და მეც ვსჭამეო.“ მკითხველი თვითონ მისვდება, რამდენად შემოკლებულია მთარგმნელისაგან უიმისოდაც ერთობ მოკლე ამბავი ასე მოკლე ამბავის საშუალებით როგორ უნდა მიასვედროს მასწავლებელმა ყმაწვილი, მრავალ-მოწყალე ღმერთს რომ უნდოდა აღეპრა

ადამის გულში სინანული?! ღმერთი თითქო უწყობს ადამს, სულის მობრუნებას ადარ აცლის, უეტრად დაეტემა ბავშვად და მრისხანედ ეუბნება: „ადამ, სადა სარო? იქნება სჭამე შენა ალკრძალული ნაყოფიო!...“ ახლა ენა როგორ გეტყვნიკება?! განა ქართული ენა მოითმენს ამდენ „ნაცვალ-სასელს“, ერთი-ერთმანეთზედ გადასირსლუფს: იმას, შენა, იმასა, შენგან მე, მე, იმას, ის, მე, ისა?!... უფ. დიდებულები კარგად უნდა იცოდეს, რომ ხვენი ზმნა ერთსა და იმავე დროს უბგენებს როგორც მოქმედს ზიხს, ისე იმ საგანსაც, რომელზედაც გადადის მოქმედება, ასე რომლის სასარგებლოდაც სრულდება, ასე რომ ერთის სიტყვით (ზმნით) აღნიშნება ქვედებარე, შესემნილი და დამატებითი სიტყვა. თარგმანში ენამ არ უნდა დაჭკაროს თავისებური თვისება....

უფ. მთარგმნელის ზისრით ევას ცოდნია, ეძმაკმა რომ შეატდინა — ის ეუბნება ღმერთს: „ეძმაკმა მაცდუნაო,“ (გ. 15) დედანში კი სწერია: „გბეღმა მაცდუნაო,“ და ეს უფრო მართალიც განლავს, რასაკვირველია, როგორ მოგწონსთ. „ღმერთმა ხელი შეუშალა იმათ იმ შენობაში (ზაბილავანის გოდლოზედ ამბობს); იმან აურის იმათ ენა ისე, რომ ერთს მეორესი არა ესმოდა რა. მასინ იმათ დასტოვეს შენობა და სს. (გ. 24). რომ „სამაგალითო ენა“ არის?!... ცოტა ქვევით ამბობს: „შემდგომში ყოველს ტომში გამოჩნდა საკუთარი ენა და ყოველი კაცი თავისებურად წარმოიდგენდა გონებაში ღმერთსა.“ „ყოველი კაცი“ არ წარმოიდგენდა თავისებურად ღმერთსა; „თვითო-ყოველს ტომს“ ზქონდა თავისებური ცნობა ღვთისა. რა არის ჟერბი? არ რა ზასუნს გვამლევს ამაზედ უფ. მთარგმნელი: „იმგვარ (ცრუ) ღმერთებს ზქვია ჟერბი.“ აი დედანის ზასუნიც: „ცრუ-ღმერთის გამოსატულებას ზქვინს ჟერბი.“ რომელი სტუუის?! უფ. დიდებულების განმარტებით „ნატი უნდა იყოს ან ჭეშმარიტი ღმერთი და ან ერთ-ერთი წმინდანი.“ ეძაწვილს არ დაუბნევს დავთარი?!... ახლა ისიც ვნახათ, თუ როგორ განმარტებს ის მეორე მტნებას. ის ამბობს: „ნუ გაიკეთებ შენთვის ჟერბსა და ნურცა რა სხვასა, რაც არის ან“

„უკეთ ცაში, ან ქვევით მიწაზე და სს. და სს.“ (გ. 26). რა გამოდის აქედან? აი რა: თითქო ღმერთი უბრძანებს კაცს-ქვეყნის შექმნას ან გაბედოვო, ესე იგი, მზის, მთოვარის, ვარსკვლავების, ჰორი-ტონების და სს. და სს. დედანში ასეა განმარტებული: „ნუ გაიგოთ კერძებს და ნურც მის მზგავსს (გამოსატულებს), რაც ან ცაშია, ან ქვეყანაზე და სს. და სს.“

დედანში სწერია: **Богъ, чтобы испытаниемъ укрѣпить вѣру Авраама, приказалъ ему принести въ жертву Исаака.**“ უფ-დიდებული სთარგმნის ასე: „ღმერთმა იხუბა გამოცდა აბრაამის საწმუნოებისა და უბრძანა იმას შეეწირა მსხვერპლად ისააკი.“ (გ. 27) სიტყვა: „გამოცდა“ დაბრკოლებში შეიყვანს როგორც ემსწილს, ისე უბრალე მკითხველსაც; ის იფიქრებს: ღმერთს უთქვამსო — მოდი ერთი გამოცდით აბრაამს, მართლა ჭეშმარიტი საწმუნოება აქვს თუ არაო, მე უფრო ვუყვარვარ, თუ შეილიო! ამას არ ვაბდა — ეთქვა ისე ნათლად, როგორც დედანშია: „ღმერთს უნდოდა ამ განსაცდელით აბრაამის საწმუნოება განემტკიცებინა?!“ უფ. დიდებული კერ-იტყვის — ამას ემსწილი ვერ გაიგებსო, მიტომ რომ თითქმის ესე-ვე წინადადება აქვს მას „საუფლო ღოცვის“ განმარტებშიდ: „და თუცა იმას (ღმერთს) ნებავს, რომ განსაცდელით იმან განამტკიცოს ჩვენში კეთილი და სს.“ (გ. 129). ამასაც ვიტყვი, რომ ემსწილი უფრო ადვილად გაიგებსო, მიტომ ტყუილი კი არ უნდა უთხრა!...

სასოგადოდ ისააკის მსხვერპლად შეწირვის ამბავი ერთობ მშრალია, ისე მშრალი, როგორც ის შეშა, რომელსედაც დაკვლას უბრძებდენ ისააკს.... ასე მშრალია იოსების ამბავიც. იოსები ეუბნება თავის ძმებს: თვით ღმერთმა გადმომავდო მე აქ (ეგვიპტეს)“ (გ. 30) **послалъ сюда**“ - გადმომავდო აქ?! დედანში სწერია: „იკობი თავის წინა — ზარების ძელებს გამოეთხოვაო,“ ნათარგმნში კი: „ზაილაგო ძელები თავის წინა-ზარებისა.“ (გ. 30) ვერ ამის-სნია ამისთანა შეცდომა!...

სამკვლავთა და მისაბძავი ენით არის თუ არა დაწერილი. შემდეგი ამბავი: „იქათუ სასწაულის წინეთ (ПРЕДЪ ДЕСЯТОЮ КАЗНЮ) მოსემ უბრძანა ებრაელთა, რომ ყოველმა სასლადამი ღირიონს კრავი ესე იგი ბატკანი, დაჭკვას ისა სამის დღის შემდგომ, იმისის სისხლი წასცხოს თავისის სახლის კარსა და სორცი კი იმისი მწარე ბალა სეებით შესაგებული და სმიადის ზურით სჭამოს. იმ დამეს, უთხრა იმათ მოსემ, დემრთი გაიგლის მასლობლად იმ სასლეებისა, რომელთაც კატი იქნება შეკებული სისხლით, დასტოვებს იმათ თავისუფლად; ეგვიპტელთ ზირმით, ესე იგი ზირველშობილთ კი ამფსწევეტს სრულიად.“ (გ. 34). რომელ ემაწვილსაც გინდა წაუკითხე თუ თავრეტი არ დაუსხას და გაგებით სომ ვერას გაიგებს! ქვევით ამბობს: „თვითუელს ეგვიპტელის სახლში იყო მიცვალებული ბავში.“ განა ეგელანი ასალ-ცოლ-ნათხოვნი იყვნენ?! დედანშია: „ВЪ КАЖДОМЪ ДОМѢ БЫЛЪ УМЕРШІЙ“ გაიგებს თუ არა ემაწვილი ამას: „იმ დროიდგან ებრაელთ დაუქსდათ, რომ ყოველ წლივ დაეკლათ კრავი (ბატკანი) და ეჭამათ ის შესაგებული მწარე ბალასებით და სმიადის ზურით და სს.“ (გ. 35) ამას თუ გაიგებს ისევ ასე: ებრაელებს უნდა ეჭამათ კრავის სორცი შეკვამული მწარე ბალასებით და სმიადის ზურით; მაგრამ ეს სო ტუილია! ასე კი არ იყო და კრავის სორცს შესწებდენ მწარე ბალასს (მწვანიდს) და სმიადს ზურს; დედანშიდაც ამ ზურით არის ნათქვამი: „ѢЛИ ЕГО АГНЦА СЪ ГОРЬКИМИ ТРАВАМИ И ПРѢСНЫМЪ ХЛѢБОМЪ“....

მეცხრე მცნების ასსნაში უფ. დიდებულიე ამბობს სხვათა შორის: „ტუილიად არავინ დაბუხდო. სსვის საქმეები და სიტყვები ტუილიათ ცუდათ არ და გადაბრუნო.“ (გ. 40) ეს სიტყვები შესაშვები არ არიან ემაწვილის უურში. „დაბუხდება და სიტყვის, თუ საქმის გადაბრუნება“ არასოდეს არ არის კარგი!....

რას ჭკვია კიდობანი? ამის ზსუსს კზოულდით ნათარგმნში მხოლოდ ერთგან. „დემრთმა უბრძანა (სოეს) აქმენესინა კიდობანი, ესე იგი სომადლი და სს.“ (გ. 21). ვსთქვათ, აქედგან ემაწვილმა

იცის, კიდობანი რომ სომალდს ჰქვია. მეორე ადგილას (გ. 41). კითხულბს ის შეძგეს: „ის მცნების ფიტრები ხსადეს კიდობანში, რომელიც იყო ძვირფასის სისაგან გაკეთებული და შეტედილი ოქროთი“ ცხადად არის გამოთქმული ჰაზრი თუ არა?! ეძაწვილი ასე იფიქრებს თუ არა: „მოსეს აუშენებია სომალდი ძვირფასის სისაგან, შეუტედა ის ოქროთი და დაუდგამს საკუთარს კარავში?! ნეტავი ვის დაჰქონდა ეს გებერთელა სომალდი და კარავი?... კითამ რა ცოდვა იქნებოდა, რომ ესე ეთქვა, როგორც დედანშია: კიდობანი იყო ძვირფასის სის ყუთი, ოქრო-გადაკრული. (Ковчегъ — ящикъ изъ дорогаго дерева, обитый золотомъ). ასლა სსვანს ვნახეთ, რა სწერია აი კიდობანსულ! აი რა: „იქ (იერუსალიმში) ნაცვლათ მოსეს კიდობანის იმან (დავითმა გააკეთებინა სს. ძვირფასი კიდობანი და დღესასწაულობით გადაიტანა იქ მცნებუბის კიდობანი.“ (გ. 48). ამისთანა გაურკვეველობა და საუძაწვილო წიგნი და ისიც ისე ქებული ტენსორისაგან და არა ტენსორისაგან?! აი დედანში როგორ სწერია: „იქ დავითმა მოსეს კარავის მავიერად აღაშენა ახალი, ძვირფასი კარავი, რომელშიდაც დიდის ამბით და დღესასწაულობით გადაიტანა კიდობანი აღთქმისა (მოსეს კარავში რომ იყო)“ რა ამდენი ღარი და საზი უნდოდა ამას?!...

„ებრაელთ მონადომეს, რომ იმათ ჭყოლოდათ მეივე იმ კვარნი, როგორც ჭყვდათ იმათ მეზობლებსა.“ (გ. 45) აქედან სხანს, რომ ებრაელებს სდომებიათ სწორედ იმისთანა მეივე როგორც იმ დროს ჭყოლიათ მათს მეზობლებს, მიტომ რომ სიტყვა „როგორც“ ეკუთვნის — „მეივეს“ ნამდვილი კი. ასუა: სამუილის შეილების უსამართლოებით მოთმინებისაგან გამოსულმა ებრაელებმა კანიზრასეს — ჭყოლოდათ მეივე ისე, როგორც მეზობელ ხალხებს ჭყვდათ და ეს სურვილი განუცხადეს წინასწარმეტყველს სამუილს — ხენც გვინდა მეივე გეყავდეს, როგორც სსკებს ჭყვით. საზოგადოდ ძალიან უკანონოდ არიან ნახმარნი ამ ნათარგმნში სიტყვები როგორც და როგორც;“ სადაც „როგორც“ უნდა, იქ „როგორც“ არის ნახმარი და „როგორც“ ის მავიერად კი „როგორც“... უფ. მთარგნელი



ამბობს საუღ მეფეზე: „საუღმა სრულათ არ შესრულა ეს ბძანება ღვთისა (ერთი სახლის „ამოფხვრის“ შესახებ): არ მოჰკლა იმათი მეფე და არ შესო სელი იმათ საუკეთესო ჯოგებსა.“ (გ. 46) „სელი არ შესო“ ტყუილია; სელი შესო კი არა და წაართვა კიდევ; მაგრამ შეიძლება „წართმევა, კაცის გაგლეჯა“ „სელის არ შესება“ იყოს?

უფ. დიდებულძეს აქვს: „მაშინ დავით გავიდა (გოლიათის წინააღმდეგ) და მოკლა ის ქვითა. ეს შეშურდა მეფე საუღსა, შეიძულა ისა და სდეკნიდა იმას, როგორც მტერსა“ (გ. 47). რა შეშურდა მეფე საუღს? რატომ შეიძულა მან დავითი და რატომ სდეკნიდა მას, როგორც მტერს? მიტომ რომ დავითმა მოკლა გოლიათი, ღვთისა და კაცის მემობელი, საუღის მტერი; ამ ჰასუსს გვაძლევს უფ. მთარგმნელი და ეს სომ ტყუილია! დედანში სწერია: „მეფე საუღს შეშურდა დავითის დიდება, სახელი.“ მართლაც, დავითმა დიდი სახელი, პატივი და სიყვარული მოიგო ებრაელთ შორის იმის შემდეგ გოლიათს რომ სძლია, რომლის ერთად-ერთი გამოჩენა თავ-ზარს სტემადა უოკელს ებრაელს. საუღს ეშინოდა — დავითმა ამით არ ისარგებლოს და მეფობა არ წამართვასო ამის ბრალი იყო, საუღი თუ დავითს გადაემტერა და სიკვდილს უზიარებდა.

რას ჰქვია ფსალმუნი? უფ. დიდებულძის ჰასრით ფსალმუნი ჰქვია დავითის წიგნს, არაღან ამბობს: „დავითისაგან დაგვრჩა ჩვენ ფსალმუნები, ესე იგი სამღვთო დავითის წიგნი“ (გ. 48). აი დედანში რა სწერია „დავითისაგან დაგვრჩა ჩვენ ფსალმუნები, ესე იგი სამღვთო გალობანი, რომლებიც შეკრებილნი არიან სამღვთო წიგნში — დავითში.“

ასე — ფსალმუნი ჰქვია სამღვთო გალობას და დავითი — ფსალმუნების კრებას. ცოტა ქვევით ამბობს: „ისრაელნი ჩაუტვივდნენ ტყვეთა სირიელთა და იქმნენ გაივანტულნი საშუაღ ზზიასა, სადაც ისინო სანიადგოთ დაჩნენ. იმათ ადგილზედ იყვნენ დასახლებულნი სხვა მსარეებიდან მოსულნი სალსნი. ისინი და ისრაილნი აკრიგნენ ერთ-

მანეთში და შეადგინეს საკუთარი სალსი, რომელსაც ეძახდნენ სამარო-ტელოთა.“ ვერ ამბობს — ისრაელნი იყვნენ გაფანტულნიო საშუალ აზიისა, მერე კი — გადმოსასლებულნი სალსი და ისრაელნი აკრივენ ერთიმანეთშიო და ერთი სალსი შეადგინესო! არ კი გადასასლეს ისრაელნი?!... საქმე იმაშია, რომ უკელანი არ გაწდაუსსლებიათ, მაგრამ ემაწვილი როგორ მისვდეს ამას, რომ არ ეუბნებიან?! მ. სოკოლოვი როდი უბნებს გზა-კვალს ემაწვილს; ის სწერს: გადმოსასლებული სალსი და დანარჩენი ისრაელები აკრივენ ერთიმანეთშიო და **переселенцы смѣшались съ оставшимися израильтянами и т. д.**)

რაი კიდევ სამგალითო ესის ნიმუში: „ისინი (იოაკიმ და ანან) იყვნენ უძვილონი და ამისათვის ძლიერ სწყუხდენ ამასკად. სშირად მსურვალედ ეკედრებოდნენ ისინი ღმერთსა, რომ მიეტა იმათთვის შვილი და იმასთანავე უდებდენ ღმერთსა აღთქმას, რომ თუ ისინი ეღირსებოდნენ შვილსა, მაშინ შესწირადვდენ ისინი იმას ღმერთსა“ (გ. 58). ასე ეს: „როდესაც ეოვლად-წმიდა ღვთის-მშობელი ვერ ქაზუგოვანბ ფრმა იყო, იოაკიმ და ანანამ, როგორც წინეთ აღუთქვეს (ვის? მარია-ამს?!), მიიტანეს ის ტამარში და დასდეს ჰირეკელს კიბის ასაკლსედ. თან მიდევდენ მაშინ იმას სსვა და სსვა ემაწვილი ქალები სსვა და სსვა ანთებულის ლამზრებითა“ (გ. 60). განა ქართულად ამბობენ ცოცხალ კაცსედ (უსუსური ბავშიც რომ იყოს მაინც). მოიტანესო, დასდესო?! სულიერ საგანზედ არ იტყვიან — მოიტანესო, დასდესო; ქათამი მოიტანეს და ქათამი მოიყვანეს, სულ სსვა და სსვა!... იტყვიან: ბავში მოიყვანეს, დასდეს... ცოტა ქვევით ვკითხულობთ: „იმან (მარია-ამს) თითონ ააბიჯა კიბესედ თუთსმეტი ნაბიჯი“ რა თქმა უნდა, საუცხოვრია: „ააბიჯა ნაბიჯი!“ ასლა ისიც ნახეთ, დედანში როგორ სწერია: „იმან თვითონ აიარა თსუთმეტი საფეხური კიბისა და სს.“ (она сама взшла на пятнадцать ступеней лестницы и т. д.)

მ. სოკოლოვის წიგნში არის შემდეგი ადგილი: „ВЪ послѣд-  
ній дець (24 декабря), по уставу церковному, мы ѣдимъ  
только варенную крупу безъ масла, т. е. сочиво, или кутью;  
отчего канунъ Рождества называется сочевникомъ“. ასეა სა-  
თარგმნში მოისმინეთ ესევე ადგილი: „უკანასკნელს მარსვის დღეს,  
ესე იგი 24 დეკემბერსა, ჩვენა ვსტამთ სატემელს უსეთოთ, ამისათვის  
იმ დღეს ვუძახით შობის მწუხრსა ანუ წინეთ დღესასწაულსა...“ (გ. 68).  
სომ კარგად არის გადმოთარგმნილი?!... ამას თავი დავანებოთ, თქვენ  
ის მითხარით—არის თუ არა აქ ჭანჭი? რატომ იგუძახით 24 დე-  
კემბერს შობის მწუხრსა? მიტომ რომ იმ დღეს ჩვენა ვსტამთ სატ-  
ემელს უსეთოთ!“ კარგი; ჩვენა ვსტამთ სატემელს უსეთოდ 29 აგვის-  
ტოს, მასინ 30-ს შობა ვოთილას?.. ესეც რომ არ იყოს, განა სა-  
კუთარი სასული არ ჭქია შობის წინა დღეს? განა ჩვენში ვი არ  
იტანს **СОЧИВО**-ს გაკეთებას? არ ვაბდა—ეთქვას: იმ დღეს კორგო-  
ტობა ჭქიაო?! „მწუხრი და წინა დღე“ სომ ვოკველ დღესა აქვს!...  
ესეც სომ კარგი ნათქვამია: „მე დვთისა განსორციელდა ჩვენ კაცთა-  
თვის, რომ.... და შეადგინოს ერთი სამიჯო, ან სხვა საიარად ვსთქვათ,  
ერთი სახლობა, რომელშიაც დმერთი არის ჩვენი მამა და კაცნი იმისი  
შვილები და ისინი ერთმანეთში—ძმანი“. (გ. 69). უიე. დიდებუ-  
ლიძე ამბობს: „განკურნება გადაარინის გიყისა“ იმის მკერდად, რომ  
სთქვას—გადარინელის გიყისა. ამისგდ უფრო უარროთ არის სასმა-  
რი—„ბეთლემის მწუქსი“. ის მწუქსები ბეთლემის ქალაქს ვი არ  
უფარაულებდენ; ისინი იფინენ ბეთლემიდგან, ბეთლემედანი; აგრეთვე  
უზიგოდ სმარობს სიტყვას—„საკუთარი“, მაგ. „საკუთარის სისარუ-  
ლით მიდიოდნენ ი. ქრისტესთან კაცნი უბედურნი“ (გ. 87). უნდა  
ჭქონდეს: განსვკაგებულის სისარულით და სს... კიდევ—„წყალში სია-  
რული“, უნდა იყოს—წყალზედ სიარული; აგრეთვე სიტყვა—„მიი-  
ფარა“; მაგ. უი. ქრისტე მიიფარა“. ვინ მიიფარა ქრისტე?! უნდა  
ჭქონდეს—ქრისტე მიიფარა.

სათარგმნში კკითსულობთ: „როდესაც ქრისტე გავიდა ტბიდან ერთათ მოწაიეებით, მივიდა გადაჭინის ქალაქთან, რომლისაც მას-  
 ლობლათ იყო მრავალი დასასაიულაგებელი თსრილები. იმ თსრილებში  
 იმალყოდა გიჟი და შიშის საჩსა სტემდა სალსსა... როდესაც ქრისტე  
 მისლყოდა იმსთან, გიჟმა შესძსა იმს ღრიალით და სსგა“. (გ. 92).  
 სკვირკელია, რომ ი. ქრისტე ჯერ ქალაქთან მისულა და მერე გიჟს  
 მისლყოებია, რომელიც „თსრილებში“ იმალყოდა!... ამს თავი და-  
 ვანებოთ—ხკნ ისა ვსთქვათ, რომ ქალაქის მსლობლად იყო „ბეკნი  
 დასასაიულაგებელი თსრილები“ კი არა, სსსაიულა ქვაბები, მღვიმეები  
 (много погребальных пещеръ) და ი. ქრისტე გიჟს კი არა, ამ  
 ქვაბებს მიუსლყოდა და გიჟიც შესგდა მს „ღრიალით“. (вогда  
 Хр. пришелъ сюда, бѣсноватый встрѣтилъ Его съ кривомъ  
 и. т. д.)

დედანში სწერია: „тогда ученики просили Христа: отпус-  
 ти ее (хананеянку), потому что она кричитъ за нами“. უფ.  
 დიდებულები ასე სათარგმნის: „მამინ მოწაიეებმა სთხოვეს ქრისტესა,  
 რომ მოეჩინა სსეული (ასეული იმ ქანანეეელის დედაკაცისა) და გაეშა  
 სსლში, რადგან დედა იმისი ძლიერ ჭყვიროდა“ (გ. 26). აქედან  
 მკითსველი იფიქრებს: დედას თავისთან ჭყოლია სსეული შვილიო;  
 მაგრამ ეს სომ ტყუილია! ქვევით ამბობს: „როდესაც დედა-კაცი შინ  
 მიბრუნდა, დასგდა იმს ქალი მოჩხენილი“. ჯერ ამბობს, თავისთან  
 ჭყვდაო, მერე კი—„სსლში დასგდა მოჩხენილიო“. რა უყოს უძწ-  
 ვილმა ამისთანა დაბნეულს ამბავს!... მეასე გვერდსედ კკითსულობთ:  
 „ერთსელ ჭკითსეს ი. ქრისტეს მოწაიეებმა:“ რისთვისა სტამს და სვამს  
 თქვენი მოძღვარი ცოდვილ კაცებთანაო?“ ვის ჭკითსეს ი. ქრისტეს  
 მოწაიეებმა? თუ ამათ ჭკითსეს სსეებმა?!.. დედანშია: „Однажды уче-  
 никовъ I. Христа спросили и. т. д.“ უფ. დიდებულებს ვკრ.  
 აქვს კარგად ასსნილი მეექვსე თსოვა „სსეული ღოცვისა“. ის სსგა-  
 თა შორის ამბობს: „აქ თანამდებათ იწოდებინ ცოდვებო, ამისთვ. რ  
 რომ და სს.“ (გ. 129). თანამდებუ ვაღს კი არა, მოკალეს ჭქია;

ცოდვას ქვია თანა-ნადები და შემცოდეს, მოკაღეს ღვთის წინაშე—  
თანამდები. თქვენის წასრით რა უნდა იყოს: „წარმოუდგინეს მას  
ერთი თანამდები ბეგრისა ტალანტისა?!“ (გ. 125)... ქვევით სწერია:  
ჩვენც უნდა მიუტევათ ცოდვები „იმათ, ვინც ჩვენთან დამნაშავენი  
არიან, ამიტომ რომ ღმერთის მსოფლად იმათ აღუთქვათ ცოდვის  
მიტევება, რომელიც თითონაც მიუტევენ დანაშაულობასა, ცოდვასა.“  
ვის მიუტევენ? ღმერთს სდამ არა?! აქედან გი ასე გამოდის და!...  
დედაწილი: „Когда мы съ своей стороны прощаемъ сдѣлавшимъ  
грѣхъ противъ насъ“.

დედაწილი სწერია: Члены синедріона прождали только часа  
три-четыре и къ утру снова собрались у Каиафы“. თარგმანი:  
„სინედრიონის წევრებსა განაგრძეს განკითხვა ქრისტესი მსოფლად  
სამი, თუ ოთხი საათი და დილაზედ სელ-ასლად შეიკრიბნენ კაია-  
ფასთან.“ (გ. 156). „განკითხვა გი არ განაგრძეს“, შეწვევით,  
შეახერხეს. ასლად ეს ნიმუშიც ნასეთ სამაგალითო ენისა: „მაშინ აღიარ-  
ეს ის (ი. ქ.) ღირსად სიკვდილისა, ამისთვის რომ იმან გამოუც-  
ხადა იმათ, რომ ის არის ქე ღვთისა“. (გ. 156). ამდენი ნაცვალ-  
სასელი რა საჭირო იყო!? არ ჯობდა ეთქვა: „აღიარეს სიკვდილის  
ღირსად, მსოფლად მიტომ რომ უთხრათ—ქე ღვთისა ვარო?!“

უფ. დიდებულიქე სწერს: „სან ის სტოლიც ცალკე არის  
ხალქე, რომელსედაც მიიღებენ და განამზადებენ წირვისათვის ზურსა  
და ღვინოსა და რომელიც მოაქვსთ ღვთის-მლოცველებსა.“ რა მოაქვსთ  
ღვთის-მლოცველებსა? სტოლი, ანუ საკურთხეველი, მოგიგებს უმწვი-  
ლი, რადგან „და რომელიც“ ეკუთვნის „სტოლს“...

„იმ ადგილებში, სადაც ცოტა ხალხი სცხოვრებს მიცვალებულებს  
მარსვენ მასლობლათ ეკვლევისისა და იმ ადგილს გი, სადაც დასამარ-

სავი ადგილი დასორებულთა ეპილესიასედ, ჭქია სსსაიულაო.“ (გ. 189) არის რამე ჭწნრი აქ?! „სსსაიულაო ჭქიან იმ ადგილსაო, სადაც დასამარსავი ადგილი დასორებულთა ეპილესიასედ?!“

ენის შესახებ არას მოგახსენებთ, მე მინდა — მოგახსოვო ზსუენი შემდეგ კითხვას: რას ჭქიან სსსაიულაო?... მაგრამ ვობია — ისეც მ. სოკოლოვს ვჭეითხო. ის ამბობს: „мѣста отдѣленные для погребенія умершихъ, называются владбищами.“ „საუცხოო და სა-მაგალითო ენა და მშუენიერი ნათარგმნიც“ თუ გნებავსთ, ეს არის!...

ახლა ესეც მოისმინეთ: „ისინი ვი, რომელნიც ვერა გრძნობენ იმასთან (ი. ქრისტესთან) შეერთების ღირსებასა (ზიარების საიდუმლოში), მიიღებენ მსოლოდ სუბსეკრის ნაჭკრსა, საიდანაც ამოღებულია ნაწილი საიდუმლოსათვის.“ (გ. 192). „რომელიც ვერა გრძნობენ იმასთან შეერთების ღირსებასაო,“ ესე იგი, რომლებმაც არ იციან (ან არ გაუგებათ), თუ რა მნიშვნელობა აქვს ზიარებას ქრისტესთანკათვის. მაგრამ განა ეს უნდა ეთქვას უფ. დიდებულადქს?! არა, იმას უნდა ეთქვას: რომლებიც არ არიან ისე მომზადებულნი, რომ ღირსეულად ეზიარონ და მით ქრისტეს შეუერთდნენ, და ან „რომლებიც არ მიახნიათ იმის ღირსად, რომ და სს... მ. სოკოლოვს აქვს: „считающіеся недостойными соединиться со Христомъ“ მაგრამ რას მიიღებენ ისინი? „სუბსეკრის ნაჭკრსაო, საიდანაც ამოღებულიაო ნაწილი საიდუმლოსათვის!“ არც ეს არის მართალი: „ნაწილს საიდუმლოსათვის სუბსეკრის ნაჭკრისაგან“ ვი არა, თვითონ სუბსეკრისაგან ამოიღებენ. ჭვენში იმ ნაწილებს უძსნან „ეკლოგიას“. იტყვიან: დღეს „ეკლოგიას“ ვვიღეო, ან და უბრალოდ — სუბსეკრიო და თვითონ „ეკლოგიას“ სუბსეკრს ნიშნავს. ჭემის ჭწნრით ურიგო არ იქნებოდა, რომ ეს სიტყვა — „ეკლოგიას“ ეხმარა, რადგან არავისთვის ეს უცნობი სიტყვა არ არის.

მესამე წვერის (სიმჟოლო სარწმუნოებისა) განმარტებში უფ. დიდებულიე ამბობს: „ის (ი. ქ.) განსოტეილდა, ესე იგი მიილო კაცობრივი ბუნება ქალწულის მარიამისაგან.“ (გ. 214). აქ განლავს დოლმატიური შეცდომა. დედანშია “принялъ (I. X.) человеческое естество отъ Маріи Дѣвы по наитію Святаго Духа.“ არც მეთხე წვერია კარგად განმარტებული. დედანში სწერია: „Онъ распять былъ за насъ, т. е. допустилъ распять себя, чтобы спасти насъ и т. д. თარგმანში კი ასეა: „ის აცვეს ჟვარზედ ჩვენთვის, რომ მით დაგვისხნას ჩვენ და სს.“ (გ. 215). „ის აცვეს ჟვარზედ ჩვენთვის“ — ნიშნავს — ვითომც ურეებს განზრას ჩვენთვის, ჩვენის გამოხსნისათვის, ეცვათ ჟვარზედ ქრისტე. „აჟვარს ეცვა ჩვენთვის“ — ამის მაგიერად არ შეიძლება ითქვას: ჟვარზედ აცვეს ჩვენთვის ამის განმარტებასაჭიროდ არ მიმანია...

მეთორმეტე წვერის განმარტების შემდეგ იქვე სწერია: „ავათაგებთ რა ამ სიტყვებით სიმჟოლოს სარწმუნოებისასა, ჩვენ ვამტეიტებთ და სს“. (გ. 217). სიმჟოლო სარწმუნოებისა მეთორმეტე წვერით არ თავდება; ის თავდება სიტყვით: „ამინ“. ეს კი გამოუტოვია უფ. მთარგმნელს და რაც ამის შესასებ უნდა ეთქვა, იმას ამბობს მეთორმეტე წვერზედ. ამიტომ არავითარი ჭარბი არა აქვს ამ სიტყვებს: „ავათაგებთ რა ამ სიტყვებით (და ცხოვრებასა მერმის მის საუკუნესასა) სიმჟოლოს სარწმუნოებისასა, ჩვენ ვამტეიტებთ, რომ გვრწამს ისე, როგორც წარმოვსტქვამთ“. (გ. 218).

ბოლოს უნდა მოვიხსენიოთ ერთი უმთავრესი ნაკლებეანება ამ ნათარგმნისა, უფ. დიდებულიეს დავიწყნია, ქართველი ეძწვილეებისათვის რომ სთარგმნიდა მ. სოკოლოვის „სამღვთო სეუელს“. ის ეუბნება ქართველებს რუსეთში ქრისტეანობის გავრცელებაზედ და ერთის სიტყვითაც არ იხსენიებს ქრისტეანობის გავრცელებას საქართველოში და, მე მგონია, მისი მკითხველებისათვის ეს უკანასკნელი უფრო სინტერესოა!...

უკანასკნელად უნდა ვუთხრა მკითხველს, რომ უფ. დიდებული-  
ძის ნათარგმნი თითქმის მთლად სავსეა წერილადი შეცდომებით, მაგ-  
რამ მე იმათვედ აღარას ვამბობ, რადგან ისეც ერთობ გავრძელებდა  
ჩემი სტატია.....

ევ. მჭ—ძე.

1880 წ. 26. თებერვალი, ქუთაისი.

---



## ზღაპარი შმაწვილებისათვის

### თ ა ვ ი I

შვილო ალექსი!  
მსურს გიხსნა ალექსი,  
საკუთრად შენთვის მოემართო ქნარი;  
დაბიგდე ყური!....  
კით ლუკმა ზური,  
ისე შეგეგვოს შენ ეს ზღაპარი!  
ახა დავიწყო....  
იყო და იყო,  
ღვთის უკეთესი არა იყო რა;  
აქედამ წადმა,  
ცხრა მთას გადაღმა  
იდგა ჰატარა, ლამაზი გორა,  
რომელიც მუდამ  
თვის სიმაღლიდამ  
რადან მოლხენით დაჰმსურდა ჭაღას  
მის წინ გაშლილსა,  
სამოთხედ ქმნილსა,  
და მასში სჭვრეტდა ბუნების ძაღას.  
ეს აგარაკი,  
გაშენდა რაკი,  
აღუვავდა ტურთვად, სსკა და სსკა იგუად;

განდენ ჩიტები,  
 გაძალეს ფრთები  
 დაიწეეს ძღვეს გულის მამკედად; —  
 სთქმეს განსეთ ზღუდე,  
 ვაკეთოთ ბუდე,  
 ეს სეები სულ ხვენ — ჩვენთვის გავეყოთ;  
 ვისალოთ გული;  
 სამთარ-საფხული  
 უზრუნველათა, გვიჯობს, აქ დავჯეოთ!  
 სთქმეს... განსარეს...  
 წილიც არ ჰყარეს.  
 დაეპატრონენ ისე თვითო სეს...  
 შრომა დაიწეეს,  
 სამატი ჰკიცხეს,  
 ყველა უვლიდა თავ-თავის კუთხეს.  
 შეიღობიანს გვერტს,  
 იმ უწყინარს ჩიტს,  
 ერგო მალაღი სე ნაკვერხსადი;  
 კერ ნასა წინი,  
 იწყო ღუღუნო,  
 სთქვა: „სეტ ჰურში სდგას, ახლოც მაქვს წყალი;  
 რომ დავიბუდე,  
 კვერცხებსაც დავსდე,  
 და იქიდანა ორს ხუნდს გამოვხეკე, —  
 მათ გასაზრდელად  
 მე ახლოს, ხელად  
 წყალსაც ვიშოვნო და ჰურსაც ავებნე!“  
 დასკვნა ეს წიკვა  
 და ღმერთს კურთხევა  
 შესძღვნა და ძღვენიც არ იყო ის ცრუ...

დილა სადამოს,  
 ტეხილს და საამოს,  
 ღოცულობს გვერტი, იძისის „ღრუ! ღრუ!“  
 უწანსლა უვაგმა,  
 ავმა და შავმა  
 ჯერ გაიცინა, მოუვა: „ასე სე! სე!  
 ჩემს სამოსსსლოს  
 ვსედავ მე ასლოს,  
 ძალიან მომწონს დიდი ნიგუზის სე;  
 ბუდეს ვიკეთებ,  
 ჩიტებს ვაიუთებ,  
 კვერცხებს დავსდებ და პატყებს გამოვსტეს!  
 შოლს ალარ ვეძებ  
 საკენკარს: უცებ  
 აქვე ვიშოვი, კაკალს რომ გავსტეს!“  
 ეს განიზრახს  
 გაალო საჩა,  
 და შემოსძისა ძალდა სმით: „აჲა! უა!“  
 თვით მოეწონა;  
 ასე ეგონა,  
 თუ მგალობელი ტოლი ალარ უვა!...  
 პატარა მწეკრმა,  
 იმ ზურის მტეკმა  
 სე რომ იხიდა, რათ მინდაო, სთქვა...  
 და ზურში შეძერა,  
 მიწას დაეკრა,  
 და იქ დაიწყო მან ჩუმათ გოგვა.  
 სთქვა რას დავკეპებ!  
 კვერცხებს ბერს დავსდებ  
 და წიწილებსაც ბლომათ გამოვსჩეკ!

ოსრად მსჭვს ჰურო,  
 ბედს რათ ვეძღუეო?  
 გავგოგდა იწუო, ჰურო: „ბეკ! ბეკ! ბეკ!“  
 მგოგავმა მსმემა,  
 არ ავმა, მავმა,  
 რომ დანახსა დიდ-ეკლის ბურდი, —  
 მას მიაბურა,  
 სხვას არ უფურა,  
 ისე შეძურა მიგ, როგორც რომ ქურდი,  
 თავისთვის ხქარა  
 დაქსასლ-გარა  
 და ოჯახობას მიქეო მან სელი.  
 ჭიაც იქ ქქონდა,  
 სასრდოც მიქქონდა,  
 საამოდ ჭსტვენდა,  
 ყუელას აღსენდა,  
 სალამურეით რა გაჭკიოდა,  
 იმ არე-მარეს  
 ტუბილად მდუმარეს!...  
 სხვა წრუნეით თავი მას არ სტკიოდა.  
 შავი მერცხალდი,  
 როგორც რომ მთეწალი  
 დახარბაცობდა, ჭთურენდა ტრიალით;  
 უჭრიდა რა გზებს,  
 მომიფრინავ ბუფებს,  
 სასრდოთ უჭრეტდა მათ მტრულის თვალთ.  
 რა გაძებოდა  
 შტოზედ ვადებოდა  
 იწუება სოლმე ჭიკჭიკს საამოს;

მერე ვით ქალი,  
 წყნარ—სატანძალი,  
 შინ მიჭირინავდა ეოველს საღამოს.  
 მაგრამ გუგულმა  
 ცრუმ და ტიგულმა  
 ასე სთქვა: ბუდის არ მახეს ჯავრიო,  
 სჯობს სსვის ზღუდეში,  
 მე მზა ბუდეში  
 სსვის კვერცხებშია ჩემიც გავრიო!  
 მას ეგონება  
 — არ აქვს გონება —  
 მისი და ზედატ კარხათ დაჯდება  
 და რას გამოსტყეს,  
 თავებს დაუტყეს  
 ჩემი ბარტყი სსვებს — თვით გაიზრდება! —  
 სსვებს ვიმსახურებ,  
 სეიწს ვუყურებ,  
 მე ხის წვერსედა შეესვდება დილით,  
 და მე იჭიდან  
 ბრწებს დავატან  
 გამლეულ-გამომლეულს „ეუ“-ეუს“ ძანილით.  
 მაშინ ბუღბუღმა  
 ტბილ გრძნობით სრულმა  
 მიჭმინათა ვარდნანს სიამოვნებით,  
 და რომ დაჭხედა  
 ვარდის ბუჩქსედა,  
 ბუდე გამინათა თავ-მოწონებით.  
 გოგობი ვარდი  
 იმისი დარდი  
 თვალთ წინ სსამოთ ეფურჩქნებოდა;

და მით ბუღბუღი  
 ალელუკუბუღი  
 მეტის ემსითა, თითქოს სდრეხოდეს;  
 კარდი კოკობი,  
 ბაღისა მკობი  
 ბუღბუღის გულსა მწველ ტრესლს უღებდა,  
 და არე-მარე,  
 მუდამ მღუმარე  
 კარდის მღერაღსა უერსა უგდებდა;  
 ბუღბუღი ამკობს,  
 კარდიც ამკობს,  
 შერით ვი სტკუნებს საბრალა. ია,  
 და იადონი,  
 თავის მამწონი,  
 რას დასდებს იას, სტკუნს: „ტია! ტია!“  
 ასე ამ გვარად,  
 მარად და მარად  
 სტკუნს სსკა და სსკა გვარის ჩიტები;  
 დღიური საზრდა  
 უკვლას წინ ედო  
 და შესატკუნათ მარჯალიტები.  
 ეს ტურია მსარე  
 ტბილად მღუმარე  
 კეუთუნდა ერთს მშვიდობიან ცხვარს,  
 და კმაყოფილი,  
 ის მაღლის შვილი  
 მაღლობას სძღვნიდა თავის მაცხოვარს!

## თ ა ვ ი II

ეს ცრუ სოფელი,  
 მწარ სამყოფელი,  
 ვერ ვის დაინდობს, არ ვის გაიტანს,  
 უღრვოდ აღსენს,  
 უღრვოდ აწეენს  
 კაცს, აბურთავებს, სად არ გაიტანს?! —  
 ვინ არა სძრასავს?  
 არ ვინ მინასავს,  
 რამ ამ სოფელსედ მადლობა ეთქვას! —  
 და ეს კი მიკვირს:  
 სიტყვსლყ თუ სჭირს,  
 რათ ვეჩიდებოთ ხვეწს საფლავის ქვას?...  
 მაგრამ იმედი,  
 უბედოს ბედი,  
 გვამსწევებს ჭირში, მით გვამლებინებს;  
 და მწარს შავ დღეებს  
 მიღად დაგვაწიწებს,  
 ტანჯვით დამაშვრადს, წამს თუ გვატინებს.  
 ჭირი სად ხარ დრო,  
 ტეიბილო ნეტარო!  
 ვაწრობრიობის მალამოდ გელთ  
 და სასოებით  
 რა გელოდებით  
 ეკლიანს გზას ვსწმენდთ შიშველის ხელით

და მოკელით დროს,  
 ტუბილს სანუტაროს  
 რას იგონებს ერი ბედნიერებს;  
 აწმყო ცხოვრება  
 მითი გვიტუბებს  
 და თანა ვუგონობთ იმ ნუტარებს!  
 ეს აღსარება  
 ვის ეუურება!...  
 ბუებს უგონს ხუენი სხვა ტვარი ქრება.  
 გიუბათ გვსდინს,  
 და დაგვტინინს,  
 სან გვესმის მათგან რისსვა და წუება!..  
 მაგრამ ხუენ იმ დროს,  
 რომ დაგვიფაროს,  
 ქრისტეს სიტუები გვაგონდებიან:  
 უმეს სუტეობა,  
 მამაკ ძლიერა!  
 ან იტინს, თუ რასა უკრებიან!“  
 ადეს მუქსვი,  
 რაფლსა ჭლურის რაკვი,  
 შემოდგომისას სთესავს სორბაღსა,  
 შიმშილს ან ნაღვლობს,  
 მაცხოვარს მადლობს, —  
 მომავალს შავსუელს უსატავს თვალსა.  
 და წინეთ უმსებს,  
 გუფი მით უბუებს,  
 რომ მისი შრომა კარგ ნაყოფს აძლევს,  
 რომელითც მრავალი,  
 მშიერ საწყალი,  
 საზრდოს ჭმობს და დღეებს ტუბილად ჭლევს.



მასინ მდიდარი  
 მარად მამლარი,  
 ამ სეტარებს, კით გაუყოს, მსოფსხავს;  
 მუქთად მღაზხვი,  
 სასიზღი სვაკი,  
 საბრალო მუშავს მძათაც არ სასავს.  
 და ამჟე გული  
 მძორ — დიდებული  
 სუელეს სასრებს თავს, უქტევს რა თვალს.  
 მაგრამ ჭკვიანი,  
 მართლ — გრძნობიანი,  
 უმალ თაყვანს სტუმს მუშავსა საწყელს;  
 და მით იმის გულს,  
 გრძნობით აღვსებულს,  
 სასალ შრომისთვის მარჯვედ ამსწევს,  
 და ასის დეგნას,  
 უსუსტარ წყენას  
 ერთის თანგრძნობით მალე ავიწყებს....  
 ჩვენც სომ ისე ვართ,  
 დეგნა გვხანს არად  
 სათასის, თუ რომ ერთი თანგვიგრძნობს.  
 მაგრამ ვერ ჩვენში  
 სად არს ნუგში, —  
 ჩვენგანი თანგრძნობს ვერ გეგვის იტნობს.  
 და წელული გული,  
 აღელგებული  
 სძგებს უიმედით, საღვლით აღვსილი!  
 მით ამ ცრუ დროსა  
 დაგვიტანო შრომა,  
 ჭლექში ვარდებს ჩვენი სურვილი...

განპრავლდით მშრომნო,  
 სუფით აძაყნო!  
 თქვენი სათლავი დროსა მოძავალს  
 საძირველად ჰქონდეს,  
 რომ აგონებდეს  
 თქვენი ცხოვრების პატიოსან კვალს!  
 და ვინცა აწმუოს,  
 რა სული მიწეოს  
 თავის სიტოცსლეს შესწინავდეს მთლად;  
 და უძცროსს მოძმეს,  
 ვითა მოწამეს,  
 შეიწინავდეს თავისთვის მსსვერზლად, —  
 სალსძი გაჭვიცსეთ,  
 და შეაწცხვინეთ,  
 რომ შვილებმაცა მათ არ მიჭბამონ  
 და სუსტი ამკლები,  
 კაცები — მკლები,  
 თვისის სამწესოდან მათაც განამონ.  
 მაგრამ ეს ლექსი,  
 შვილო ალექსი,  
 შენთვის აღრეა... ირჩევ ვერ აღაშანს?  
 მამ კარგი შვილო,  
 მამულის წვლილო,  
 მიკმართოთ ისევ ჩვენს საცოდავ ცნვანს?

## თ ა ვ ი III

უზრუნველათა,  
 მწკანე კელათა  
 დანავარდობდა სიამით ცნვარი;

სწამდა, სცხოვრებდა  
 და ციკ წყალს სვრებდა,  
 იკისით გაჭქონდა სულ მთა და ბაჩი.  
 ვის რას უყოფდა!  
 მით ამაყობდა,  
 რომ კარგი კუთხე ბედმა მას მისცა;  
 და ისე სლტოდა,  
 როგორც უნდოდა,  
 ცა ქედით უხნდა, ქალამნად მიწა!!  
 მაგრამ ერთ დღეს კი  
 აკნიტეს ნიკი,  
 როდესაც ჭოროდ მოჭკრა მას ყური,  
 რომ სხვა მსეცესა,  
 მის მეზობლებსა  
 გულში შესვლიათ საბრალეს შური.  
 დიდით კვირობენ  
 და უპირობენ  
 ძლით საბრალეს დამონებებსა,  
 თუ რომ სურვილით  
 და სიტყვით ტკბილით  
 თვითონ არ დაწყვა იმათ ნებასა!  
 ჭერ თავ - მოძწონე,  
 ამას ვამბონე,  
 საბრალეს ცხვარი მეტად დადონდა;  
 სთქვა: „ცა ვამიწყრა!“  
 ბევრი იფიქრა  
 და ბოლღას ხერხი მას მოაგონდა:  
 ის სამიჯლობელო,  
 მისი სამშობლო  
 სადაც კი თვალი მიუწვდებოდა,  
 ყოველის კუთხით,  
 გადავნითა, ცისით  
 შეჭკრა... მტერი ვერ მოუსტებოდა!

და შეძევ მარად  
 ის უშიშარად  
 აბუნა სტუმრებს მარევედ უცდიდა,  
 და თავის გულში  
 დამშვიდებულში  
 მოსისხარ მტერებს ჰამშუჯად სდიდა!  
 ერთსელ ვით მტვერი  
 მოადგა მტერი,  
 მაგრამ რა ნასეს გამაგრებული,  
 გაჭკვირდენ მეტად,  
 შეიქმნენ რეტად,  
 და მოულოდნელად დასწყდათ მათ გული.  
 ვერცა გააწყვეს,  
 ამოიბუეს....  
 დაბრუნდენ სასაღში ბილწი მსეტეში,  
 და ცხვარმაც საგზელათ  
 სშირადდა სან - გრძელად  
 თან გაატანა იმათ ბრწყები!  
 უფრო დიდებით  
 და დამშვიდებით  
 ამ საქმის შეძევ ცხვარი სცხოვრებდა;  
 და ის სხვა ცხოველებს,  
 ვერც დათვებს ვერც მკლავს  
 ძალით მომსეკად ვერ უუურებდა.  
 ხანი გამოსდა,  
 ცვლილება მოხდა;  
 ეტიანა საწყალს ჩვენს ცხვარს მუცელი,  
 დასვა კრავები  
 ნიკორ — შავები  
 და გასაზრდელათ მიჭერ მათ ხელი.

ძეძუსა სწოვდენ,  
 სხვას აჩას სთხოვდენ,  
 დედას დასდედენ და ნავარდობდენ,  
 სილამაზითა  
 და სინაზითა,  
 ასე გასინჯეთ, ერთმანეთს სჯობდენ.  
 ჭკუა - გონება,  
 დიდი ქონება —  
 რაც ცხვრის წესაზედ კი შეიძლება —  
 იძითაც ჭქონდათ,  
 თავი მოსწონდათ;  
 აკლდათ მათ მხოლოდ გამოცდილება.  
 მაგრამ ეს ნიჭი,  
 ცხოვრების ბიჭვი,  
 დედის მუცლიდან აჩვის დაჩუგება!  
 ცრემლ — ნაღველითა,  
 გულის მწველითა  
 ის მხოლოდ შეიძებ მოიზოვება!  
 და ერთსელ ვინცა  
 მას ხარკი მისცა,  
 ჭმუნვის ბეჭედი აჩის მის სახეს;  
 და რაც შიშველად  
 სჩნდა სასურველად  
 ბოლოს იქ ჭგონებს საფრთხეს და მასეს.

#### თ ა გ ი IV

ხარბი რამ არი  
 და უმადარი  
 ვნებიან სრული, აღმშობილი გული:

რაც რომ ჩვენია,  
 მოსაწყენია,  
 და რაც არა გვაქვს, — მიგვიდის სული.  
 მწარისა ოსვრით  
 და ცრემლების ღვრით  
 რას ავისრულებთ ჩვენ ერთსა სურვილს,  
 გიდეგ სსვას ასალს  
 გული იჩენს ალს  
 და არ გვასვენებს გრულსა და ურვილს.  
 ჩვენს ნაცნობს ცხვარსა  
 შეუზღვარსა  
 მოსწყინდა მალე ის არე-მარე  
 და მოსამოვრად,  
 ნეკრის საშოვრად  
 გადახიჯა გალავანს გარე!  
 და ის კრავები  
 საცლადკები  
 გალავანს შიგნით მარტოთ დაწყვარა;  
 მაგრამ იმავ დროს,  
 უფროს და უმცროსს,  
 ორივე შვილებს ეს დაუბარა:  
 „ჩუმად! ნუ ბღავით,  
 „ფრთხილად იყავით,  
 „დაკეტეთ კარი, არვის გაუღოთ!  
 „მარტო რომ გნახონ,  
 „არ მოგატყუონ  
 „ჩემმა მტერებმა, არ დავიღუბოთ!...  
 „მე რაღა მოვალ,  
 „ვეკლასკედ უძალ  
 „სამჯერ „ბეს“ ვიტყვი და „ბეპეკსა,“

„და მითი მისკდით,  
 „კარებს მოასტით,  
 „ჩქარა გამიღეთ და გაჭმევთ რძეს!“  
 ამ გვარად ცხვარმა,  
 გულ - უძალიარმა,  
 კრავებს ეს სიტყვა რა დაუბარა,  
 მინდორი გავლო,  
 მთებიც გადავლო,  
 მოუხედავით გასწია ჩქარა!  
 უღედურათა,  
 უძუძურათა  
 დარჩენ კრავება და მოიწეინეს;  
 ვერც იკუნტრუშეს,  
 ვერც ინუბუშეს,  
 მიწვენ ხეროში და დაიძინეს.  
 მათ ძილში მტელი,  
 ის სპაკელი,  
 მიადგა კარებს, ეცა რა სუნით.  
 ერთი მან კარეთ  
 იზუვლა მწარეთ  
 და დაუწეო კარს ჩქარა კაკუნით.  
 ძილი, დაუფრთხათ  
 ტკბილი მკარით,  
 ამ სმაურობით ჰატარა კრავებს;  
 და რომ წამოხტენ  
 მამინვე მისკდენ,  
 რომ აბრიუვებდა ვილაც მათ მტრობით.  
 მიცვივდენ კარზედ,  
 მაგრამ უარზედ  
 დადგენ და აღარ გაუღეს კარი.

ავიდაცა სარო,  
 თუ დედა სარო,  
 ანა ნიშანი შენი გვითვისარი?..“  
 გუდ გრძელმა ძეგელმა,  
 იმ სასარელმა,  
 მოსატყუებლათ შექმნა ფუილი;  
 მაგრამ კრავებმა  
 ნიკორავებმა  
 იცვენეს და უთხრეს მათს მტერს: „ტყუილი!  
 ცხუას გავკანბიუკა?!  
 დედა რომ იყო,  
 სამჯერ იტყუილი „ბეს“ და „ბეპეპს“!  
 „ჩვენს მივსდებოდით,  
 „კარს მივსტებოდით,  
 „გაგიღებდით და შენს გვაჭმევდი რძეს!  
 „შენ დედა არ სარ,  
 „სსვა გვანად ჭყარსარ,  
 „საიდამც მოსველ, იქვე წადიო“!  
 მგელი დაღონდა,  
 რაღა გზა ჭყონდა?  
 სთქვა: „დამეკარგა დილის მწვადიო!  
 „ასღა ამ კრავებს  
 „მშაგებს, აგებს  
 „მე მოვატყუებ: წასდა ფიცო,  
 მაგრამ შეორეთ  
 შევაცდენ სწორეთ,  
 რადგან ნიშანი მათი ვიცო“!  
 მართლაც მეორეთ  
 დაბრუნდა სწორეთ  
 საშინლობის დროსვედ, კარი მონასა.



ასუნ - დასუნა,  
 დაუგაგუნა,  
 "ბე" და "ბეკეპე" სამჯერ დასძახს..  
 მასინ კრავები,  
 საცოდავები  
 მოსტყუედენ და წამს გაუღეს კარი.  
 და კაი მათ მტერს:  
 მგელს შეხვდნენ მშიერს;  
 რანივ ხაჭულაშა მგელმა უმწვარი.  
 და გამძლარი,  
 ან გასასარი  
 მგელი წავიდა სახლში ქუნძელით  
 და ის გრძელ - გუდა,  
 როგორც რომ გუდა,  
 გაძობურს მუცლით და გულით.

თ ა ვ ი V

დაბრუნდა ცხვარი,  
 რომ ხასა კარი  
 ღია, კრავებიც აღასად იყო,  
 მას ეღდა ეტა,  
 ჰიჭქე დაეტა  
 და საცოდავათ ბღავილი იწყო!  
 სთქვა: "ეს რა მოხდა!"  
 ზეზე წამოხტა,  
 იუმტა ცრემლები ადგა მას თვალში;  
 და თავის მტერსა  
 გულის მაკერსა  
 გაჩისსებული ჩაუდგა კვალში.

მისდია ჩქარა,  
 მთა გადაიარა  
 და ერთ ღეგეში ნახა მან შტერი.  
 შეშინდა მგელი,  
 ის სადაგელი,  
 ცხვარს რომ შესედა, წაუსდა იერი!  
 ის გამაძლარი  
 ეგდო, ვით შეგდარი,  
 და აღარ ჰქონდა საომრად ძადა.  
 და მონელებს  
 ომის შეძლებს  
 იმ წყეულს ცხვარმა აღარ აცადა:  
 დროზედ მიასწრო,  
 იშოვნა მან დრო:  
 ამოჰკრა ფაშვში მრისხანემ რქები,  
 განზო ჩქარა  
 და გადმოჰყარა  
 ისევ ცოცხლები თავის შვილები!  
 ბეჭი ისარეს,  
 ცრემლები ჰღვარეს,  
 სიამოვნებით შეეჩხათ გოცნა.  
 და მუკე ცხვარმა,  
 ბედით დამტკუნარმა,  
 თავის შემომქმედს მადლოზა უძღვნა.  
 და წამოვიდა  
 დიდის ანბითა  
 თავის სასწისკენ გულ — დამოვიდებით.  
 და ძველებურად  
 ის მისებურად  
 ისევ სცნოურება, იყო დიდებით.

სშირად მტკებში,  
 მგლები, ტუებში,  
 დათვები და სხვა თუმი აწესებდნენ,  
 მავრამ დიდ წაწაღს  
 ვერ აძლევდენ მას,  
 წადგანტ წინის კაწს მათ არ უღებდენ.

თ ა ვ ი VI

უსამართლობით,  
 რმით, ძალობით  
 აწვის შექმლა, გაქალა კაწი,  
 თუ რამ შეტდენით  
 და მოყვრის ენით  
 არ დაეღუნათ საბრალე ცსვაწი.  
 მოულოდნელად,  
 მოუწვეველად  
 განსდა მოყვარე, მტრსედან ავი:  
 ეს იყო მეღა!  
 ტუნტულით, ნელა  
 მოხმანდა თოვლში ის ნაგორწავი  
 და მოტყუებით,  
 ტბილის სიტყვებით  
 მიჰმანათ ცსვაწსა კეთილ მწრუნველად:  
 „ბეთილო ცსვაწო,  
 „ღიწს შესაყვარო,  
 „მამაწო, სიმნით ქებულო ძველად!  
 „ყოველის კუთხით  
 „ღამითა და ღლით  
 „მტრნი გყავს, არ გაქვს მით მოსკუნება!

„და შენ მოყვარე  
 „ან გეავს მომისძარე.  
 „რომ მოგესმარო, მოძეტი ნება  
 „მდალა სულით!  
 მიყვანსარ გულით,  
 „და მისთვის მინდა გემო გემოყვარო;  
 „და შენი მტერი,  
 „როგორც რომ მტერი  
 „ისე გავსადა, მინდა.... ამოვიხარო.  
 „მე ერთი მურა  
 „ეთერი, შავ - ყურა  
 „მეავს, იუმტ ან არის ჩემი ფერი  
 „და როგორც მეღის,  
 „ — ჩემგან რას ეღის? —  
 „ის უნდა იყოს დიდი მტერია  
 „მაგნამ სიბრყვიით  
 „ის ერთის სიტყვით,  
 „რადგანაც ან აქვს მეტი გონება,  
 „ან გაეგება,  
 „გიდეტ ექება  
 „თავ - განწირულად ჩემი მონება,  
 „აი ამ მურას  
 „მოვიყვან, ტურას  
 „და მეღს წავიფორენ მე წინ სიმწრითა.  
 „და მასწინ შენა  
 „მოგსედავს ზენა,  
 „მტერს მოიგოებ ეაკელის მსრითა.  
 „მოგასმარებ მტერს,  
 „ანც უთსაკ არაიკერს  
 „ამ სამსახურში მე გულ - წმინდა!“

„მოწმედ მყავს ღმერთი,  
 „მე მსოფლიად ერთი  
 „შენი მოყვრობა გუფით მინდაო!“  
 ცხვარს რომ ეს უთხრა,  
 თავი დაუგონა  
 და ისე ჩქარა წავიდა შინა,  
 რომ იმ საწყაღს ცხვარს  
 მის სიტყვით დამტკბარს  
 თითქმის მადლობაც არ ათქმევინა.  
 დანხა მარტო და  
 ამას ამბობდა  
 ცხვარი: „ეს მეღა სით გამაჩნდაო!  
 „ბევრად უკვლია,  
 „შორეულია,  
 „სემგნით რა აქვსო იმას სჯდაო!  
 „როგორც ეტყობა  
 „ხეში მოყვრობა  
 „მას გუფითა სურს უზაკვლადო.  
 „მაშ დამტკიცოს,  
 „მტრისგან დამიცოს,  
 „რომი გამართოს მტრებთან კვლადო,  
 „და მამის მეტა,  
 „მოწმად მყავს სეტა,  
 „რომ არ დავჩხები უმადურიო:  
 „კანსაც გაუუღებო,  
 „ტკბილათ მივიღებო,  
 „რომ ნახოს ჩემგანც სამსახურიო  
 რა გადასწყვიტა  
 ეს, შინ წავიდა,  
 კრავებს უანბო, უმასარობდა,  
 და იმავე დღიდან,  
 ყოველის კუთხიდან  
 მისმა ნათელმა დღემ მოიღურბდა!

## თავა VII

დადგა ზამთარი,  
 მკელი გამსდარი,  
 ტურს და დათვიც იერიშითა  
 მოადგენ ცისეს,  
 კრავებმა ნასეს  
 და გაიკიდე მათ ხმა შიშითა.  
 მაგრამ ამაჲ დროს,  
 წუდს და საზაროს,  
 შინობისა მეზღოვიდა მეფა;  
 თან მოჴყვა მურსა,  
 დასძინა: „ურსა!“  
 და წაიფრინა წინ მტრები ეგელა.  
 დათვი აბლავლეს,  
 ტურს ატყავლეს,  
 მკელი გაბერეს როგორც რომ გუდა.  
 და კით სარდალი  
 მსნე და მართალო,  
 ისე მოიქცა აჲ მეფა გუდა.  
 უბრძანა მურსას  
 ნუ მზოგავ ნურას,  
 რაც გინდა, მთხოვე, აგისრულებო;  
 და მართებულად,  
 მე უქველად  
 ამ საცხვარეთში შენ გიგულებო!  
 მაგრამ კი ჯერე  
 მე დამიჯერე  
 ფარისეველურად და ფრთხილად ვიყოთ:

რომ არ შეგვიტყოს  
 ცხვარმა რომ გვეითოს  
 ჩვენი ჭანჭები, და გავაბრეოთ.  
 კარი გაგვიღოს,  
 კერ შინ მიგვიღოს,  
 ცოტა ხანს ვიყოთ ჩვენც ვით სტუმარი,  
 და მერე რომცა  
 სულთ ვიგდოთ დროცა  
 გავერიჭოთ ჩვენი ცხვარი სუმარი.  
 თუ იუაროს,  
 არ მოგვეკაროს,  
 და არ მოსტუეუდეს ჩემის ტუბილ — ენით,  
 მაშინ შენ მალე  
 გადაუბრიალე  
 თვალები რისხვით, მიქარით, დრენით!  
 რომ მაშინ შიშით,  
 ვაგლახით, ვიშით  
 ეს ჩავარდეს ჩაიწვევითას ხმა  
 და ვითომც სუბით,  
 ძალ — დატანებით  
 სამაჩადისათ განდეს ჩვენი უმა.  
 ეს რომ დააწვეეს,  
 საქმეც დაიწვეს,  
 დიდ — მოწიწებით მიდგენ ცისის კარს,  
 და სინარულით,  
 ვით მართლის გულით,  
 გამაჩვიებებს ულოცავდენ ცხვარს.  
 მოსტუეუდა ცხვარი  
 გააღო კარი  
 და შეიყვანა ცისეში მელა, —

იმას თან მუწა  
 შეჭყვას შავ-ყურა  
 და გაიხმოწა სიამით ნელა.  
 ცხვარმა მშინა  
 გამოიჩინა

წაგ. კვ შექდლო მას მასწინძლობა.  
 და ძელა კუდაძ,  
 ეშმაკის გუდაძ,

საგვლად შექდეგი უთხრა მადლობა:-  
 „გმადლობო, ცხვარო,  
 „შენ უწყინარო,  
 „თავს რათ იწუხებ მასწინძობითო!  
 „შენ გელარ შესძლებ,  
 „მე ვიმასწინძლებ,

„და შენც ქიწაში ყოველ-წლობითო  
 „მიხადე მადლი,  
 „მადლიე მატყელი

„ერთი საჩოხე, საწაიჭეო;  
 „და მით მშვიდობა  
 „და სემი ნდობა,

„მონის საფერად მიინიჭეო!  
 „ბეჭეს სულა ფიჭობო!  
 „რადას აზირობ?

„სიამ — ტკბილობა სჯობს იხმარო,  
 „რომ ბოლას მადლით  
 „რონივე თვალთ

„არ იტორო და ცრემლი ღვარო!“  
 „შეძრწუნდა ცხვარი,  
 გულს ჭკრეს ღასვარი!

მაგრამ რაღა დროს? რაღას იზამდა?



ძელა-კუდურა  
 და მასთან მურა,  
 რომლებიც წელან მეგობრად წამდა,  
 მრისხანე ძალით,  
 თვალის ბრიალით  
 უღრენდენ და თანც იღესდენ კბილებს,  
 და მასინ ცხვარმა,  
 შიშით შემკთარმა,  
 ცრემლით ურჩია საბრალე შვილებს:  
 „აწ კი გვიმარტებს,  
 „ამ მიწდვრებს და მთებს,  
 „გამოკეთსოვით, მონა ვართ ძელის. —  
 „გვანწევს ღვთის რისხვა,  
 „სანამ აწ ჩვენ სხვა  
 „არ გამოგვისსნის და არ გვიშეელის.  
 „ვმონათ ჯერ შავს ბედს,  
 „ნუ გვარგავთ იმედს:  
 „სოიველი ჰბრუნავს აღმა და დაღმა.  
 „რომელმაც ჩვენს  
 „არ მოგვასვენს  
 „მტკმ დატლიჯოს ძელაც იმ ძალღმა.  
 „და ჩვენც მასინა...  
 „ხუ! შემასინა  
 „რლაც ჩვენებსამ, ამოებს! „ფერთსილადო!“  
 „ჯერ მსხვერპლი უნდა  
 „უმასკო წმინდა  
 „განსაწმენდელი შვილის - შეილადო!“  
 ეს რა წარმოთქვა,  
 ეელს შეიშა ქვა  
 ნიშნად მონების,... დასდუმა ცხვარი

და თავ-დასრილი,  
 იწყო ტირილი...  
 დღესაც არ შიშობა იმას ცრემლთ ღვარი.  
 იმ აჩუ-მარეს,  
 ჩაგრულს, მიწისაჩუეს  
 გულ მისაკლავათ რწყავს ის ცრემლთ ღვარი,  
 და რომ შესძრეს  
 ის ცრემლი ერთს ღრეს  
 მისთანა გმირი ვერ არსად არი.

1876 წ.

\*უკუ\*

# ბიძიასთან გაგონებება

ოპერეტა — ვოდევილი

ერთს მოქმედებაში.

---

ასლი რუსულიდან.

თ. რაფიელ ერისთავისა-მიერ.

---

## მოკმედიანი პირნი:

თავადი იორამ უძლომელოძე, 50 წლისა.

ალექსანდრე ფუქსაგატიანი, დისწული იორამისა, 25 წლისა.

ნატო, ამისი ცოლი, 20 წლისა.

ვარლო  
გულმართლისა { მოასლეკები ნატოსი.

ივანიკა, ამათი მსახური.

ხინჩლა, მსახური იორამისა.

აკტრისა.

ზარაფი იოვანე.

ჩანგი.

სოფლის დედაკაცი.

---

მოქმედება არის თბილისის ქალაქში ალექსანდრე ფუქსაგატიანის  
სახლში.

---

## ბიძიასთან გამოსუბრება

(ტეატრი წარმოადგენს გრგვალს ოთახს. ამ ოთახს სუთი კა-  
რი აქვს და ერთი თანჯარა: მარჯვნივ მოჩანს დიდი სარკე, კუთხეში  
ფორტუნიანი და სკამ-ლოგინი; ალაგ-ალაგ დაწრული სკამები და  
ცალ მხარეს ტასტი მუთაქებით მოართული).

## გამოსვლა პირველი

ალექსანდრე (შემოიბრებს, ხელში უჭირავს გახსნილი წიგნი  
და სარხარებს).

სა, სა, სა, სა, სა, სა, სა, სა, სა, სა! ძლივს ხელში არ ჩა-  
ვიგდე ბიძა ჩემი!.. ასე მისაზიან ამ წიგნის მიღება, რომ ათას ჯერ  
რომ გადავიკითხო, მაინც არ მომწყინდება!.. მას გაუმარჯოს იმ  
უმწვილ-გატებს, რომელნიც მდიდარ ზიძებსა სთინთლავენ სოღმე...  
სა, სა, სა, სა, სა!... (კითხულობს).

წინაველი, 12 ღვინობისთვე 1878-ს წელს... ბატონო, ალექ-  
სანდრე! აქვენს მშვიდობას ჩემს სასო ღვთისმშობელსა კთხოვ, რომ  
მშვიდობით ბრძანდებოდეს! თუ ჩემს აშავს მოისხეწებთ, გცოცხალ  
ვარ, ბეჩავრ, ღვთისა და თქვენის წყალობით... ასღა, ჩემო სელმწი-  
ფევე, ბიძა თქვენმა რომ თქვენი წიგნი წაიკითხა, რომელშიაც სწერ-  
დით, რომ ერთი ქალი შემეყვარდა, ღარიბიან, მაგრამ კეთილი  
გულისაა და უნდა მავითოვო, — წამოვარდა ტასტიდან და ასეთი  
აღიარება დააქენა, რომ კაცი იფიქრებდა: მეორეთ მოსვლა არის...  
მაღლა სმივ იძახდა: „ჩემი დისწული გასუღუღებულანო!.. რაებს

შვრება ის ვირო?...“ „ნუ შამჩისსამთ შენი ჭირიძე, ეს სიტყვები ბიძი თქვენის ნაბრძანებია...“ სს, სს, სს, სს, სს, სს!... ტუტუტი ბიძა-ჩემი... გამოხეჩეტდა საწყალი!.. ნეტა ჩემი ცოლი რა იქნა?.. (უევირის) ნატო! ნატო!.. სადა საჩ?.. წიგნი მოგვივიდა წინაველიდან!

(სმს ნატოსი): მოვდივარ, მო!.. ანგარიშებში ვარ...

ალექ. (ციოთხულაბს კიდენ). „ძვერე მიჭვარდა სიწბილა მწკვარსა, ორიოდე ჩიბუნის ტარი უთავაზა, მერე მოიქნია მუთაქა, ფანჯარას მინაწრსა და მინები მტკეწივით გასადა!... თქვენ ნუ მომიკვდებით, ასე გაბრძანებული თავის დღეში არ მინასამს... მერე კიდენ, ნამეტნავად, თქვენმა მეგობარმა გადაჭრია, რომელზედაც საიდუმლოთა მწერდით!... მოუყვან, ბატონო და რაები არ უამბო!... „თქვენი დისწულიო, გათენებმდის ქალაღდა თამამობსო, ორი თასი თუძანი ვალი დაიდოგო, თქვენი იმედითაო და იმის გამოკვარებულიო, რომ იმ ქალის შერთვის ნება არ მიეცითო, რომელიც შეიყვარაო, ანდა ვიდაცა თრიათრის ქალს გადაკვიდაო და იმან მთელა საცხოვრებელი დასცინტლაო!...“

ჩვენ სომ შიშით ანლო გელარგინ მიეკატრინით... ანდა საგდალი დამზადებინა, ცხენები დაატედინა და ქალაქს აზირებს წამობრძანებს... ამ წიგნს საჩქაროთა გწერთ და ვშიშობ, რომ ბიძა-თქვენმა არ მოუსწროს... სასლში გოხები თუ გასლავო, ან კარგი ტიქეულობა, სულ დამაღვინეთ, ღმერთი გადადგომელებო, თორემ, რა ვიცი რომელი იყოს საქმი!..

გადა თქვენმა ცოტა ჩუჩხსელები მოგართოთ და მოგახსენათ: შავიტყეო მკარია მოუტანათო და თუ, მართალია, მკარია მოსულაო, ერთი თავშალი მიბოძეთო და შიტის კანლიცა გოსოვათ... მეც ცოტა ბუნუნთის წყალაბა მივაგით..

თქვენი ერთგული მოსამსახურე, საქუა გაშვლებილაშვილი“.

სს, სს, სს, სს, სს!.. მობრძანდეს ბიძია, მობრძანდეს!.. მეც ეს მინდოდა რომ ადგილიდეს დაემკრა... მამ დღეს ან სვალ გახნდება...

(შუბლიკისაკენ) არა! კაცს მდიდარი ბიძა ჰყვანდეს, უშილო და კერისაზგებლას?... მე რე ვიდენ მასინ, როცა ვიცი რომ შვილზედ მეტათ უყვარვარ და ჩემთვის არც არას დაიშურებს და არც არას დასოგავს!... მოხრძანდეს, თითონვე იანგარიშოს, შეიძლება, თუ არა, რომ აღაქმი, ყმაწვილმა, თავ-მოძროხე კაცმა, ყმაწვილი ცოლიანათ, იცნოგქროს ღირსეულათ, როგორც ეკადრება, იმ ფულით, რა ფულსაც ის მე მიგზავნის!..

### გამოსვლა მეორე

ალექსანდრე და ნატო (კვლამი უჭირავს ხელში ჭდანასარჯის დავთარი)

**ნატო.** (სანდროს) რას მიძინდი?... აჲ მეც აქა ვარ!.. რა არი, სანდრო, შენ გჭრდას... განა ამდენი სარჯიც იქნება?! მართლაც რომ ბიძია, ჭკვიანი კაცი ყოფილა, რომ ცოცხალ ფულს გიგზავნის... ახა რასა ჰგავს, ერთი შესედე? (აწვდის დავთარს) ერთს თვეში ას სანდრო-და-შვიდი თუმანი სარჯი!.. განა შაიძლება?..

**სანდრო.** სა, სა, სა, სა, სა, სა!..

**ნატო.** რას იტინი?... მაგ სიცილს ისა სჯობია იფიქრო რომ ახლა ცოლიანი კაცი სარ, რომ ცოლს ცნოვრება უნდა და ფულის ფანტკა აღარ შეგფერის, ფუქსავატათ.

**სანდ.** სა, სა, სა, სა, სა, სა! კარგი თუ გინდა, ეს არის! მევე გამოკდივარ დამნაშავე... მას მევე უნდა გაგასწორო ჩემი შეცდომილება და (მიისედ-მოისედავს) აქ, რაც მეტი რამ არის, გავყიდი—და ფული იქნება!..

**ნატო.** უკაცროდ!.. აქ მეტი არა გასლავს-რას!.. თუ გინდა რომ მართებულათ ვიცნოვრო, თავი გამოვიინო, აქ, ჩხირსაც ვერას მოაკლებ... ყველა საჭიროა.

**სანდ.** სა, სა, სა, სა, სა, სა! მას, მე, ფულები საჭიროებთ-სათვის მიფანტავს... მაგრამ მე მწათა ვარ, შენი გულისათვის, შენი სიყვარულისათვის, ყველაფერი დავაბნო!

**ნათლ.** გმადლობ, ჩემო სასურველო!.. მე ვხედავ რომ ჩვენს ბუნდოვნებას ბევრი შამოჭნატრის... ახლა მითხარ, რისთვის შექმნიდი?

**სანდ.** იმისთვის რომ უნდა გაცნობო, ისეთი ახალი ამბავი, რომელიც გაგატრებს და რომელიც ჩვენს გარემოებასაც საუკეთესოი შესწავლის... ოღონდ ეს ვია რომ, შენ უნდა გამოიხინო სრული შენი ნიჭი, სწავლა და სელაუნება...

**ნათლ.** შენი სიყვარულისათვის მისათა ვარ ყველაფერზედ... მითხარ, რა ამბავია?

**სანდ.** იტი?... რასაც ვამბობდი, დამის შესრულდეს... ბიძის აქ მოდის, ჩვენს!

**ნათლ.** (გასაჩუქრელი) მართლა?!..

**სანდ.** დიას... აი, წიგნი, მოწერილი ჩვენი მოურავი საქუთსა-გან. (აძლევს წიგნს) სა, სა, სა, სა, სა, სა!.. ბიძის გაცნობებულს ჩემსედ და ახლა მოდის რომ ქოწილი ჩამიძლოს, რომ შესწედ ვვარბი არ დავიწერო!..

**ნათლ.** სა, სა, სა, სა, სა, სა! გავგეჟის თუ?... სასაცილო თუ გინდა, ეს არის!.. სა, სა, სა, სა, სა, სა!..

**სანდ.** უცხო ამბავია!.. ეს ვია რომ, ვარგათ უნდა მოგეძინად-ისეთ იმის მისაღებათ.

**ნათლ.** რასაკურველია... ბიძა-შენი ხომ სოფელი კაცია, მოქა-ლაქობისა აღარა ესმის-რა... ერთის სატყვით, გაველურებულის... მამ ისე უნდა მოგეძინადო, როგორც შეჭიურის იმის რძალს... იტი, რა?... რამწამს ჩემს ნახვას მოინდომებს, მეც ცოტათი ავიბურები, წყნარათ თავს დაუგრავ, მერე თავს ჩავლუნავ და მოვასხენებ: უთქვენს მივარ-ველობას ქვეშ მიმიღეთ და მიბოძეთ სელი გავოცოთ-მეთქი...“ არა?... სა, სა, სა, სა, სა, სა!..

მცოდნე ზეპირად ექვსთა დღისა რომელიცა აღწერა ვასილი დიდმან და გარდამოვიდეს ქართულად ე. საუგუნესა, და ეგრეთვე ეპისტოტლეთა მისთა, რომლისა სრული თარგმანი გვაქვს გაილზის ასტრახანისა აჩხიეპისკოპოსისა, — ხშირად მოიგონებდა მათალთა და დიდთა ვასილისა თქმულბათა: „ყოველივე მოვალსა თვისსა დროსთა, ესე მისწერა რდიმზიას ვასილმანს<sup>36)</sup> ევაკილი გაზაფხულსა, ეკალი ზაფხულსა, ჩაყოვი ხილისა შემოდგომას; ხოლო ჩაყოვი ზამთრისა არს საუბარი მასვე დროსთა, ბრძანებდა მეფე, მისწერა ვასილმან ხუმრობითი, დაცინებითი და შექცევითი სიტუაცია ეპისტ. 267.) კომბოსტოსათვის, რომლისა სადამე ჭამითა ჭანიჭურისა სრულუბისაგან, გარყვნილი ცხოვრებითა და არაწმინდებითა განმეც (კვანძა, პონტოსის) ანტიპატრე.

დიდად ხშირად ეტყოდა და განუმარტებდა განმარტებითსა ივანე მუხომდვან იოანე რქობირისა სიტუაციასა: „აღმოსთქვას გულმან

36) ეპისტოლე 13.

ჩემს სიტყვა კეთილი: აღმოსატყუს გულმან სიტყვა ე. ი. რათა  
იცოხნიდეს ვითარცა საჭმელსა სიტყვასა კეთილსა რადეს ვსჯამთ.  
კანამანთ საჭმელსა და რამელიცა ჰსჯამს ანუ მიიღეს საზრდოდ  
სუელსა საღმრთოსა, მსკე ამოიცოხნის ე. ი. აღმოსატყვას<sup>37)</sup> ესე ვპო-  
ვე ღათინურსა ენასა ზედა დაბეჭდილი და მუნ სწერია \* ) (

) — ნუ ვიქმნებით უმაღლესი  
ღვთისა, ეტყოდა მონათმონათ და კარის-კაცთა. რათა არა მივიღოთ  
უგუდრობითი სიტყვა მსკე წინასწარ-მეტყველსა: ისრაილმან სჯამა,  
განძღა, განსუქდა და კრა წიხლი მას, რომელსაცა უუკარდა (მეორე  
სჯა 32. 15) ზეპირად ტკბილად და ნელად ქსარებოდა უდაბნო-  
სა მემხოლყოთა და ეტყოდა წმიდათა თვის, მოწამეთათვის, მემარ-  
ხულებათათვის, წიხილთაგან, რომელნიცა წარკითხა უურად-ღებოთა და  
ახსოვდა მესიერებითა ძლიერითა. კასიანე მწერლისა თქმათა, მაქსი-  
მე აღმსარებელისა და იოანე კლემასისა სინაიტელისა მოძღვრებათა  
წარმოსთქვამდა ესრეთითა ძალითა და კსოდენ მადლიანად, რომელ მსმე-  
ნელთა აღატირებდა და აღნებდა ცრემლთა. თვით მოძღვარი მისა და  
მეტობარი, წინამძღვარი ნათლის-მცემლისა უდაბნოსა ევთიმი. უწო-  
დებდა სულიერსა თვისსა მოწაიუსა მეფის-ძეს გიორგის, მოძღვრად  
თვისსა. განკვირებასა შინა შეუკანილი ევთიმი ღირსი, მოახსენებდა  
მატივად მეფისა მოძღვრებათა სიტყვასა მოხსენებულსა იესოსადმი  
იოანე წინამორბედისაგან: მე შენგან კელი ნათლის-ღებასა, და შენ  
მთხოვ რათა ნათელი გცე შენ?

ვითარცა მიწა წვიმიდა და მთურადი და განზოხილი, ეგრეთ იყო  
მეფე გიორგი, იტყოდა მამა ხ მი ეგნატო, სუბღრთლოთა წერილებითა  
დაუნჯებული და ვითარცა რიტორი მათთა აზრთა და თქმათა წარ-  
მომთქმელი.

<sup>37)</sup> ფსალმუნთა განმარტება 145.

\*) აქ დედანში აკლია.

LXXVIII

სტეფანესა რუსთველსა (არხიეპისკოპოსსა) ახსოვდა წარმოთქმული ბეჟისა გიორგისაგან სიტყვა რქროპირისა ღირსებისათვის კაცთა გონებისა. მე მოვიძიე ნამდვილ თქმა ესე რქროპირისა წერილისაგან, მიწერილითა ანტიოქელთა მცხოვრებთადმი (სწავლა 2.) და აზრთა მიხედვითა, თვით სტეფანესაგან თქმულთა, დავსწერე აქა მკითხველთა საცნობელად:

„მზაკალნი პირუტყვთაგანი სჩანან უშეტეს კაცისა: ღოღი ძლიერებითა, ცხენი სიმწრაფლითა, არწივი ფრინველთა, გარნა კაცმან დაიშინა ცხენი თვისად მოსახმარად. ხოლო არწივი? კაცმან მოიძია სსუჟალობა და ღონე შესაყენებულად მიფრინველთა, კაცთა აქვსთ თვისნი ფრთენი, დახს! დახს, მე მანქვს ფრთა ერთი უმსწრაფლესი არწივთა ფრთისა, რომელითაცა აღვიწვი არა ათსა სტადიონსა, არცა ოცსა სტადიონსა, არცა ცადმდე მხოლოდ, არამედ უმაღლეს ცისა ადგილადმდე, სადაცა სუფევს ქრისტე მარჯვენით ღვთისა.“

ერთსა და მასვე უკეთუ ვიტყვით ორ გზის და სამ გზის, იტყოდა მეფე, საჭიროებისათვის, რათა არა დამაკიწყდეს აზრი და იუფს უშეტეს სრულად და მტკიცედ გონებასა ზედა დანერგულად. იტყვის რქროპირი კაცისა ანუ გვამისა სხეულსა ჯერ არს რათა აქვდეს თავი, ხესა ძირი, მდინარესა წყარონი, საუბარსა დაწყებითი რამე საგანი.“

თქვენ-ხართა, იტყუდა მეფის-მე გიორგი რქროპირისა სიტყვასა, მიერულნი რეცხა ბაგეთადმი ჩემდა და ვითარცა მერცხაღთა ბარტენი, მათგებთ ბუღიდგან ნისკარტსა, რათა მიმიღოთ მსწრაფლ მისგან საზრდელი.

დღესა ერთსა, საუბრისა დროსა მათთვის, რომელთაცა სურდათ სიკვდილი მეფისა ანუ მოკვლა მისი, ღიმილითა წარმოიტყოდა იოანე რქროპირისავე სიტყვასა: „დღესაცა იპოვებან იუზაბულისა გვარისანი.

ინოვაციად კვლავ განცობდა, როგორც და მოითხოვს თავსა იოანესსა.“  
ესე სიტყვა იყო თქმული არა დარეკვან დედოფალზედ, დედი-ნაცვლი-  
სა თვისისა. ბრძანებდა მას მეფის-ეულისათვის დედოფლისაგან მიხნე-  
ულისა, და თითქმის სასახლისა მბრძანებელისა მიბრძანა ესე არა ერთ  
გზის მეფის-ძემან მიხაილ.

LXXIX

მეფის-ძემან თეიმურაზ მოითხრა, მეფისაგან გიორგისა მამისა  
თვისისა არა ერთ გზის გაგონილი თქმითა და არა წარკითხვითა სიტყ-  
ვა იოანე რქოზინისავე ღამითისა ლოცვისათვის და სიტყვა ესე  
მალაღი ვჭზოვე საქმე მოციქულთა განმარტებაში (სწავლა 25) და  
მოვიღებ აქა საცნობელად, მეითხველთა: ღამე არა არს დაწესებული,  
რათა განატარებდენ მას სრულად ძილითა და განსვენებთა, ხელ-  
სანო, გაჭარბი და მსყიდველნი ჯა თვით ეგვლისთა ღვთისა, განიღვი-  
ძებენ შუადმესა. განიღვიძე შენცა ვითარცა ეგვლისთა ღვთისა; განი-  
ხილე წყობა ვარსკვლავთა, დუმილ ყოვლადი აერისა და წესი ქმნე-  
ლებათა, ღამისა უამსა სული კაცისა არს უმეტეს განწმენდილი, მსუ-  
ბუქი და მოცლილი. აღიწვიოს მალაღი გონებითა თავისუფლად. სიბ-  
ნელე ღამესა და სიღრმე დუმილისა შეიყვანს იქიქნა და მსჯელობა-  
სა. უკეთუ აღიხილავ ცად, ვარსკვლავებითა მორთულად, ვარსკვლავი-  
ბითა, რომელნიცა არიან ცისა თავლნი, მიეცემი დიდსა სიხანულსა  
და დატყუები შეებითა, ფდეს აღიწია არსი შენი და ვინება ღვთი-  
სადმი. მიხედე კაცთა რომელნიცა დღისით ვიჟიან, ვიჟიან, როგორც  
ვიჟიან, ბოროტობენ, მტაცებულბენ და კქმობენ მრავალთა უკვან-  
თა და უკეთუებთა, — არა რათა არა განიჩქევან მათგან, რამეღი-  
ნიცა მღებობენ სათვლითა შინა და მაძინ ქუთარცხ-ყოფი სოფლისა  
ადისა ამასა ამათსა ვიბოხებასა, მოკვლეს ძალი და ესეცა მათ არსებობს  
რა არიან: ძალია სხვა სიკვდილისა, სხე და მსტავსება არა რათა. —  
განვედ ქუჩასა და იხილე რომელ არდა ისმის არავისი ხმა. მიხედე



სახლსა შინსა: ყოველნივე მოლაზრებენ ვითარცა საფლავთა შინა ესე ყოველი განაღვიძებდნენ სულსა და გაგონებებსა სოფლისა ამის არაწარბასა..... ღამისა უამისა მღვიძარებენ: მტნარნი, და ესრეთვე სული შინი, უმეტეს მტენარეთა რცა მეშვიხათა, მიიღებს სიცისა ცვარსა.“

სოფროსი არხიშანდრიტი, არაგვისი ერისთვის-შეიღლი აღსრული ნათლის-მცემელისა მონასტრისა, მოიგონებდა მეფისა სიტყვათაგან ვასილი დიდისა, ბრძანებდას ქოთიმესთვის წინამძღვარისა, რომელიცა იყო მღაბალთა გვართაგანი, გარნა მალაღ მალაღთა ზედა გვაროვანთა მღვდლმანუ მონასტარებისა სიწმიდიითა და ღირსებითა: „გაცი დიდებული და გამოხენილი, განა არა მქონი ჩინებულთა მამა-მამათა არა ემსგავსების წყლისა ნაკადთა, რომელიცა განდიდდებიან მაშინ, ოდეს შეიკრთებენ სხვათა წყლისა ნაკადთა, ესრეთი განი მიემსგავსების წყაროსა, რომელიცა თავით თვისით ზოდის და თვით არის გემოვანი კეთილი და სასმელი..... იტყვიანო, არა ხარ დიდისა გვარისა და არცა დიდებული: მიუგუე: შენ ხარ ნაცარი და მტკერი; არა ხარ უმეტესი აიწამისა მამისა ჩვენისა, რომელიცა ესრეთ იწოდებოდა “ ამ სოფროსისა თანა მეოფი, დროსა ამჟავისა ამის მოთხრობისა, ბერძან სერაპიონ (მოგლული ლეკთაგან 1855 წელსა მონასტრისა დავით ვარკვისა უდაბნოსს). გარდას მტოდნემან ძველისა და ახლისა ფილოსოფიისა და უმატა ესე: შე ვიყავ 18 წლისა ვერეთ მოხრილად, ოდეს შევე მობრძანდა დავით ვარკვისა დიდისა ამაღლთა და იხება, რათა სატრამპოსას სადილსა უამისა წარკვითხათ ექვსთა დღისა რაიმე. წინამძღვარმან მიბრძანა გამორჩევა წიგნიდამ, ვითარცა შე თვით დავინახედი ღირსად, რათა მოესმინა მეოფსა. აღვედ მჭითხველთა საღვურსა და წარკვითხე სრულიად მუხსრეკსწავლსა ვასილისა დაბადებისათვის ქვეყანისა ცხოველთა დათვით განისა. ოდეს დავასრულებდი კითხვასა, შევსტკავი ხმა ჩემი და ვიტყოდი წიგნისა ამისა დასასრულსა ამასა: ესრეთ მიუხარი ესე და დრომდისა და სულისა კვირმანებს დუმილსა შესდეთ და მივეთ შესვენისა სავუბარე ჩვენსა წარკვედით აწ კინარულითა აქა, შეგნებინო მე-ცხოვრება მეფე გიორგი XIII-სა

გობანო ქრისტესნო, და ნაცულად საზრდოთა მდიდართა, და სავ-  
მელთა მრავალ-გვართა, განაშენებო და განწყობილო ტრანჰეზი თქვენი  
სიტყვათა ჩემთა განსვენებითა. ესე იყო, ვგონებო, 1794 წელსა წი-  
ნათ აღა-მამად ხანისაგან თბილისის აოხრებისა, დღესა ხუთმასათსა  
დღესასწაულსა თითო დავით გარსჯილისა ამაღლებისა სწორსა. მეო-  
რეს დღესა შემდგომად წირვისა დილითისა და პარაკლისისა გამოეთ-  
ხავა ძმათა და წარვიდა მტკვრისა მხრით ბორჩხალოს და თანა უძ-  
ლოდენ უახახასა და ბორჩხალოს თათარნი.

პირველი იყო ჩემგან შეივის-ძის ნახვალ და ჭეშმარიტად ვიტყ-  
ვი დღედმდე მომხსენებელი მისი, ვაკვირები მისსა ღრმად სწავლას-  
თა სამღვრთოთა წიგნთა შინა, წმიდათა ძამათა წერილთა დახელოვ-  
ნებასა მისსა, ბჭძნად მსჯელსა. ტკბილად და რიტორულუბ მოუხატ-  
სა, ნამდვილ, შეიქესა ტანითა ახოვანითა, ჭკუითა, ზრდილობითა,  
მოთმინებითა, აუჩქარებლობითა, დიდსა მორწმუნესა, ქრისტეს ეკ-  
კლესიისა მოუვარესა და ვიტყვი მონაზონთათვის მაგალითსა.

კითხვა ჩემი დიდად მოუწონა შეიქესაო; — გამომკითხა ვინაობა  
ჩემი, სადაობაი, წელი ცხოვრებისა და წელი უდაბნოსა შინა შესვ-  
ლისა. ერთისა კვირისა შემდეგ შემაყენეს ბერად; მიგურთხეს ჩონაო  
და მიწოდეს სახელად ნაცულად სვიმონისა სერაპიონი, სახელი წინამ-  
ძღვრისა ჩემისაო, რომელმანცა მალაღითა სიწმინდითა განატარა ჭკუე-  
ნიერი ესე ცხოვრებისა საბოიელი.

### LXXX

ღროსა გამუთებისა მეფე გიორგი მწუხარე ქალაქისა თბილისი-  
სა გაოხრებისა გამო სპარსთაგან და მცხოვრებთა თვის, რომელნი-  
ცა კვლად შემოვიდოდნენ თვისთა სახლთა გარდაშვართა მისწერს  
თხოვითა წერილი სომეხთა კათოლიკოსისა ლუკას, რათა ასესხონ მას  
იფული. კათოლიკოსმას მოართვეს სესხად ათასი თუმანი, და აფული  
ესე განაწილა მათზედ, რომელნიცა იყვნენ მოკლებულნი ღონეზედ

ადმენესისათვის ანუ განახლებისათვის სახლთა იყოსთა: — ქაჯაქი თი-  
ლისი, მეცადინებისა მუღიქისა დარჩიასათა აქვეუდა ამა დროსა. სამე-  
ფოდ დღეში 18 მანეთსა, კითარცა მიაშობა ლესეკრადმან ვასილს იო-  
სების ძემ სუბუთოქმანს, დიდი მოღვაწე ქაჯაქისა განახლებასე. არა  
ზოგაჲდა არაჩასა აბოლთა, ქვრივთა და შეუძლებულთათვის. ვიბე მი-  
სი, იტყოდენ მხლეველნი მისნი, არის შიოს მარანიო.

დღესა ერთსა მეფე ურძანდებოდა ჩარდახზედ სასახლისა თვი-  
ლისა წმიდისა გიორგისა ეკკლესიის გვერდზედ და იხილა მუნ ემან-  
ვიდი 15 წლისა, რომელიცა სდგას შორს და უმზერის მეფესა. მეფემან  
მადლის ხმით ჰკითხა მას, ვინა ხარ ემანვიდი? იგი წარსდგა მსწრაფად  
და მოახსენა: ვარ შვილი სიონისა ვანდეფაკისა იოანესი..... ოჲ, უ-  
რძანა მეფემან, მოკლულისა სპარსთაგანს, წამებულისა ქრისტესთვის,  
შენ ხარ შვილი ჩემის ნათლი-დედასა. მოდი, მოდი, რა გქვიახ სა-  
ხელი? განვიღო, შენი ჭირიმე, — მოდი დაჯიჯ, სადა დგებარ  
ქვდა? მეზოდისა სახლში; — მაშინ შევიდა ოთახში, გამოიტანა თვით  
პატარა თაღათინისა ყუთი, ამოიღო ვიბიდან გასაღება, გააღო ყუთი  
და ლურჯის ქისიდაჲ თვით თავის ხელათა იწყო თვლას აბაჩებისა.  
ლც-და ათის მანეთის აბაჩი მიბოძა და რადგანაც არ მქონდა ხელსა-  
ხორცი, თვით ამოიღო მისისაჲ, ყუთიდან ქაჯაჯდი ლურჯი და ნახე-  
ვარ თაბახში ცახვია და მიბრძანა: მიუტანე ეს თუჯი ჩემსა ნათლი-  
დედასა დედასა მესასა და უთხარ ქვდაჲ. ქვდაჲ გაიხალეს სახლი სად-  
გურად აბოლთა. ამა ყუთითა დროთა მათ, მეტყოდა სიონის დე-  
კანოზი გაბრიელ ქართველთაჲ, გაჩდაცვლიდი 1886 წელსა, ადვამე-  
ნეთ სახლიო, რადგანაც იყო დიდი იყოობა მასადისა, მუშისა, კაჯა-  
ტოზისა და აგურისა.

### LXXXI

მეფის ძეგან და მეშვედრემან დავით რუსეთსა უოქნისა დროსა  
გაიწნა და მოიხებია შერთვა ცოლად, რომლისადასცა ტატისჩევის ქა-  
ცხოვრე იფის გიორგი XIII-სა.

ღისა. მონბრუნესუღმან საქართველად, იწყო მიწერ-მწერა წერბლთა  
გარსევან ჭავჭავაძის ძესთან და ვარლამ მატროპოლიტთან ერისთვის  
შვილთან. დროთა ამას ვ. ბ. ჩვენად სინოდისა მცხოვრებთან. შიკვისა  
გიორგის დიდად სურდა შერთვა ქალისა მისთა რუსთა გვარისა და  
აჩქარებდა საქმისა ამის დაბოლოებასა, რა მკაცრობითა ამით დაგვი-  
შინდეს რუსეთთან თვით და ერი დაუმალვედა, ერთი ესე ვითართა  
წერილთაგანი ნამდვილი, რომელიცა მე მაქვს ამის მწერილი მეთვის  
ძეს დაუთთან ვარლამისა: აჭა პირი ნამდვილიდამ ამ 1-ღისა ამას  
წერილისა.

მისთა უკანაოფერეუდესობას. შიკვისძეს და საქართველოს შემკვიდ-  
რეს დავითს, ჩემს მწერალე ხელმწიფეს!

ქვევრდომით თაყვანის გრემული, მათს მშვიდობას დმერთსა  
ვთხოვ

ხელმწიფეო ჩემო! თქვენი წიგნი მებოძა. და როგორც მძი-  
თებდა ისე ვინაჩე თქვენის მშვიდობის ამბას სმენისათვას, სატონს  
მევეს წიგნი შივართვი. და მათს უმაღლესობას მოვასხსენე, და თქვენც  
მოვასხსენებ: ტატისჩოები ჭემარიტს მასკეს ითხოვენ, ამისთვის  
რომ ბეჭნი თხოულბებს, და უთხოება უნდათ. და თქვენ ბრძანებას  
ელან.

აქაური ამბავი ეს არას, ევროპაში დიდი ბრძოლას. სუეროვსა  
შვილცარიაში საშინელ მთაში უღალშს და უგაღს: დგილებშიდ, რომ ის  
იმპერატორის დენერალთ ცხენები დაუგვიანეს და ოთხი დღე იქ  
მოუხდა დგომას; იმ დღეებში საშინელი გუნხილი, ელვა, და მძაფრი  
წვიმა თურმე იყო, და იმ დროს ივრანტუსნი განეწვენს, და დიდს  
სიმხნით და ძლიერებით იმ საშინელის ადგილიდგან გამოვიდა სუერ-  
ოვი, მოკლედ მოვასხსენებ, სუეროვი ასე სწერს ხელმწიფეს, რომ  
ახლა რომ მოვიტანეთ იმ დღეს, ჩვენი სული შეტურწუნდება ხელ-  
მეო. ხელმწიფის შვილი კონსტანტინე მავლავინიცი იქ ყოფილიყო.  
და ამისთვის ხელმწიფემ სუეროვს დენერალისი მურობა უბოძა, და  
თავისი შვილი ცესარევიჩად გამოაცხადა. კნააზ პეტრე ბაგრატიონიც

დიან კარტა განსარჯა და კიდევ დასჭრეს. ბუნაჰარტემ ჯარი მისიერში დააგდო და თითონ ფრანციაში შივიდა.

სხვებზე გეგედრებზე მოწყალეა. ხელმწიფეა არ დაძვირეო მონა ერთგული თქვენის უგანათლებულებისაგანა ერთგული არსიერი ვარლამ.

გუმბრის 18 წელსა 1799.

რავდენისაზე წლითა წინათ.

## LXXXII

წერილისა ამის ვარლამ მიტროპოლიტისა რომელიცა იქმნა 1811 ექსარხად საქართველოსა გარსევან ჭავჭავაძემან ანონა მეფესა მიწერილი ჰეტერბურლსა ამბავი დავითისათვის შემკვიდრისა, დანიშნულისა ოთარ ამილახვრისა ქალსუდ აღენსუდ, მეფე, მოსურნე რძლად ტატრშჩევისა ქალისა, სწორს სხვათა შორის შემდეგსა ჰასუხსა, ჯერეთ მეფის ძეობაში და შემკვიდრობაში.

რათ ბრწყინვალებას

ხემს საკუთარს მეგობარს,

რას აქედგან თქვენი ბრწყინვალება წავიდა, მას უგან თქვენს წავინი არ მოგესულია და თქვენს ამბავი გარჩევით არ გვისმენია და თქვენს გონებაზე უწეის, რომ თქვენის წიგნის დაგვიანება და ამბავის უცნობელობა დიდად მოგვაწყენს, და გინც წამოვიდეს თქვენს წიგნსა და ამბავს არ უნდა დაგვაკლებდეთ ხოლმე, მშვიდობა არის ლუთის მოწყალეებით ჰეტერბურლს რომ მიხვიდეთ იქ დიან კარტისაგან უჩხუელისი იშოვება თეთრი კაზდი, რომელსაც ანადინო ქვიან. ამისი საში ანუ ოთხი სტოლას კოვზის ოღენი უნდა გვიმოვინოთ და კანის ჭურჭლით და

ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა

თქვენის ბეჭდით უნდა ფორმით გამოგზავნათ, ან ასეთით კაცის ხელათა, რომ აქ ჩვენ მოგვივიდეს; მაგრამ დიან კარგისაგან პირველი და ურჩეულისი უნდა იყოს, რომ ცუდი არ იყოს და ვინცით ცუდს არ გამოგვიგზავნით და ამას გარდა სიტყვების წამალი რომ ქქვიან იმ წამლისაც თორმეტი მინა გვიშოვნეთ და ესეც თქვენის ბეჭდით დაბეჭდილები და კაის კაცის ხელით გამოგვიგზავნეთ რომ უმჯობესად აქ ჩვენ მოგვივიდეს და ის ორივე გი ჩვენთვის საჭირო არის და ამისთვის გთხოვთ და ვინცით თქვენც გამოიმეტებთ და კიდევ იშოვნით და მაგიერს თქვენს რუკებს და სიამოვნებას ჩვენც ვეცდებით: ჩვენთვის დობიერსაც გამოგზავნა ცხადობა არსებისა ქქვიან, რომელიცა რომ მათს დიდებულებას უთარგმნინებია ის წამალი და ამისი ორი რიგი თურმე იქმნება, ერთი დიან კარგისაგან გვიშოვნათ იმ ცხადობა არსებისა წამლისა და თორმეტი წერილის მანებით იქნება და ესეცა და ეს შემოსხუნებული თეთრი კაპლიცა ოთხი სტოლის კოპში გვიშოვნათ და გამოგვიგზავნათ და ასეთს კაცს გამოგზავნეთ ამ ჩვენი მხრისაკენ რომ საეჭვო არა იყოს რა და აქ ჩვენ მშვიდობით და უნაკლულად მოგვივიდეს და შემდგომად თქვენს სიკეთეს, ამბავს და წიგნს ნუ დაგვაკლებთ, რომელიც ჩვენთვის ნიადაგს სასიამოვნო სასმენელი არის. დავითის ცოლის შერთვა და ქორწილის ამბავი გუკითხათ, იოანე ივერთაშვილმა ვკიანბო და თქვენი გული ამბავად საჩუმუნო ბრძანდებოდეს რომ ჩვენ დავითს არც ცოლი შეერთოს, არც ქორწილი იქმნას და ვისზედაც დავითისაგან შერთვის ეჭვი არის არც დავითისაგან იმისი შერთვა იქმნეს და დიდა სიცრუე და ტყუილიც არის და დაჯერებულნიც ბრძანდებოდეთ, ამბავად ასე შორს არის დავით აქედან შეტყობულნი შორ არის ისე ის საქმე. და უჩვენოთ ხომ ვერ დაიჭერდა დავით ამ საქმესა და ჩვენგან საჩუმუნო იქმენ რომ სიტყვისა და ჭოჩის ამბავის მეტი არააური არ არის, და თქვენვე

დიან კარგათ იცით, რომ ტუუილის შიტი არა არის რა და გთხოვთ  
შენგან დაუფიქრებელი ვიყვნეთ უოველს საქმეში.

თქვენის ბრწყინვალეების საკუთარი მეგობარი საქართველოს შეთვის  
ირაკლის ჰერმეო ძე გიორგი.

წელსა ჩლად. მარტის კლ.

თბილისსა.

იმერეთის საქმითა რაღა გეხუწო ამის მეტი; ახლა შენ იცი,  
რომ ის საქონელი არ დაგვეკარგოს. შენი ალაღი თეთრი რომ მომ-  
ცე შენის ვიბადგან, ესრე იქმნება

### LXXIII

1799 წელსა მეფის-ძე და შემკვიდრე დავით, ურჩია მამასა,  
თვით-ნება და მგონებელი ბრძნად თავისა თვისისა, უმეტეს მამისა,  
ვითარცა მხილველი რუსეთისა, — შევიდა განსაცდელსა ქნელსა. სინარ-  
ბემან ფულისა და ნიკთათა და მოლოდებამან, სწულებისა განა მამი-  
სა თვისისა უგურნებელისა, მეუღლისა, რომლისა ძალითა ადვილად  
დახსნიდა ქორწინებასა, — აქმნივასა ესე, რომ არღა ინება შეერთა და-  
ნიშნულისა მასზედა ელენეს ამილახვრის სარდლისა ოთარის ქალისა  
არცა ტატიშჩევის ქალისა რუსეთს, და შეერთო სურვილისამებრ  
მამისა სვიმონ, ალად წოდებულისა აბი მეღიქის ქალი ხამფერუან, რომ-  
მელსაცა ნათელ-სცემს მართლ-მადიდებლისა ეკლესიის წერითა \*) და

\*) მონათლვა კანონის, ებრ ანტიოქიისა კრებისა სომეხთა და მირონ-  
ცხება იყო წმ. გიორგის სასახლის ეკლესიაში, თვით მეფე სკამზედ მგდომი  
დაესწრო მუნ. ნათლიად ანუ მიმქმელად იყო თავადი დავით თარხნის შვილი  
მიმბაში. ესე ამბავი მითხრა შვილმან მისმან ვითარცა მამისაგან გაგონილი  
ღენ. ლეიჯენანცმან. იოსებ თარხანოვმან. პლ. იოსელიანი.

უწოდეს სხვად ელენე. — ქაჯსა ამას აქენდა აუულად 8,000 მანეთი, თუღი ღრეთა ამათ დიდ-ძალი და ესოდენისაკე იუღლისა ნიკონი და სსიკაუღნი. მეფე თვით დაესწრა რძლისა თვისისა მირონ-ცხეპასა სს-სახლისა წმიდის გიორგის ეკელესიასა შინა. თანაშემწეთა აღსრულებისათვის ესრეთისა საქმისა იოანე ანდრეიკა-შვიდსა, რომელიცა ასწავებდა მას ქაჯსა ადრევე ქართულსა წყნასა და სანუასსა, უბრძანებდა მეფე იღუმალ დასხლგონს მისდა შვილი მისი დავით.

დღესა მესამესა შემდგომად ქორწილისა მეფემან, რათა მტერთა არა მისცეს მეტად მიხესი დღესსწაულობისა, დასუსტებისათვის მეფობითისა ღიწისებისა, — თვით წარვიდა, სახა რძალი თვისი, ამბოჩს უუო, და აგურთხა და უბოძა ჰირის სასახავად ქარვასდა სახასო ქ. თბილისს და სოფელი გურჯანი სახასო ემპობითა და მამულითა და ოქმისა ბოძებითა, მასვე დღესა მეფისაგან დამტკიცებულთა. გონებდა მეფე, რომელ ესრეთითა ქორწინებითა ძე მისი დავით გამაჰვიდოდა ცოდვიდამ და განუტევებდა ბაყალ ავეტიქას ქაჯსა, შეეყარებულსა ადრითვე, რომელიცა შეშდევ წაიყვანა რუსეთსაცა და მუნ მოკვდა. მტერთა სდუმეს. გარსა, თვით დავით მოსრული გონებდა, შევიდა სინანულსა. არცა თავის გვარი დობისა, არცა სიძველე და ჩინებულებს გვარისაკე, არცა კავშირი რაიმე დიდგანობათა ქვეყანისა, არცა მეფობითი აღზრდა აზრითა და ქცევითა, — არა აქენდა მეფის რძალსა და მეშვიდრისა ცოლსა სადღეოდოდად აგრატიონის ტახტისათვის მომზადებულისა მეფემან განსადიდებულად გვარისა მისისა, მიუბოძა მისსა გვარსა თავადობისა ღიწისება. <sup>39)</sup> გარსა რასა ემბებოდა ესე სომეხთა

39) მამა მისი აღა ანუ სვიმონ ცხოვრებდა ასტრახანსა და ვაჭრობდა შვილთა შეწევნითა. შვილნი ესე იყვნენ ზურაბ, სვიმონ, დავით და იოანე, თუმცა უხაროდათ მეფისთანა მოყვრობა და გვარის შოვნა; გარსა შესწუხდენ ასე მდიდრად გათხოვებისა გამო დისა თვისისა, შევარდნენ ვალში და დასუსტდნენ ქონებითა. აჭა ერთი წერილთაგანი სვიმონისაგან მამისა ჩემისადმი მოწერილი 19 მარტსა 1800 წელსა, შემდეგ ჭვარის წერისა, რომელიცა იქმნა 1799 წელსა.



ქალსა; რომლისა მოყვარენი და ნათესავნი იყუნეს ვაჭარნი და დაბღი-  
სა ხელმისანნი, დაიტან ერთი მისივე მეფისა რომლისა, სახელად შაია  
სომხადკე დაშეთნილი, ეყანდა ცოლად მოქალაქესა თბილისელსა...  
გულასპოკსა ვაჭარსა. ამიღახვარი ოთარ, ეცინოდა მეფის სახელსა  
დაწუნებისათვის მისისა ქალისა, შეაძულა ოთარმან იუსტინე მთავარ  
ეპისკოპოსნი, რომელსაცა პატრიკს სცემდა მეფის რძალი  
ელენე და სწყაღახვადცა დიდად <sup>40</sup>). ამისთვის მე-

40) აქა ვიცუვი რავდენთამე მთავარ ეპისკოპოსთათვის, რაიჭა გავიგონე  
მეფის-მის მიხაილისაგან.

1.) კირილე, გვართ ციცი-შვილი, ბიძა გიორგი სარდლისა სიმამ-  
რისა თვით მეფის გიორგისა. დროსა დომენტის ცუვეობისასა ოსმალოსა,  
მიანდვეს მას კათოლიკოსობა, ოდეს მოვიდენ ოსმალნი ასაკლებელად მცხე-  
თისა და სხვათა ეკკლესიისა საუნჯეთა, ჰსცემეს მას მრავლად რათა აჩვენოს  
მას სამკაულნი და თაბალითა დააყრევინეს ფერხთა ფრჩხილები. შემდგომად  
დაბრუნებისა დომენტისა სცამბოლიდამ ჩააბარა მას კათოლიკოსობა და თვით  
იწყო ცხოვრება მარტივისა ბერისა. იყო მცოდნე სპარსულისა და თათრული-  
სა, საყვარელი მეფისა, ნასწავლი მჭერმეთქვი და სიკუეა მარჟვე, მიწერ-მო-  
წერა მისი ანასტასიასთან (წიგნმან ამან არ მოაწია ჩვენდამდე) მეფისა ირაკ-  
ლისა დედი-ნაცვალთან, მოწმობს მის სიბრძნესა. იცუოდა სადმე, მეფისა ვახტან-  
გისა დაი ნათესავი მისი მასწავებდა დიაკონისა დროსა კმევასაო. რავდენჭერ-  
მე ალიყვანეს ხარისხსა და გამოიქცა დროთა ამბოხისა გამო. გარდაიცვალა  
90 წლისა 1774 წელსა. მის შემდეგ იყვნენ:

2.) ციმოთე.

3.) იოანსა ფეფლანის-შვილი. ძმა დავით სარდალისა.

4.) ბესარიონ გოსტაშაბის-შვილი. აღმასსან ბატონის შვილის ნათ-  
ლია (ძმა დავით სარდალისა) რომელიცა კიკრისა ჭამითა დაირჩო და განით-  
ქო ეშმაკებზე დაარჩესო.

5.) პანისიოს გარსევანა-შვილი, ნამღვდელოაუი, რომელსაცა ჰსწამებ-  
დენ ფრანგობასა; — მეფე გიორგი არ მიენდებოდა მას ფრანგობისათვის.

6.) იოანე ქარუმიძე. ონოფრე ბერის-შვილი კაცისა დიდად წმიდისა და  
მოღვაწისა გარესჴას გარდაიყვანეს წილკნიდამ.

7.) იუსტინე მაღალა-შვილი, უკანასკნელი, გადაიყვანეს რუსიდამ.

ფემან ინება და შერთო უმცროსსა, ჰირვეჯის ცოლიდამ, შვილსა თვისსა თეიმურაზს თვით მეფის რძალი ელენე იყოფოდა გარდაცვალებამდე მეფის თვის ქმართან არა ნატოვცემულად მისიგან და შემდეგ გარდაცვალებისა განამიანა თვისგან და გონებდა გაშვიანსა. იყო სქემან კონსანტინიაში და არაღარა გამეფებულმან მიიღო საქართველოს კონსისტორიდან, კათოლიკოსის გარდაწვევითა ითით უარი დახსნიათვის ქორწინებისა. დავით წარვიდა რუსეთს 1503 წელსა და მეფის რძალი ელენე, ბრძანებითა იმპერატორისა ალექსანდრესა, მივიდა ჰეტერბურღის 1810 წელსა და გარდაცვალა მუნ 1836 წელსა. თვით ელენე მეფის რძალი და მეგვიდრის ცოლი იყო კმბახით მიმქმედი ჩემი, ამისთვის ვინცნადი მოკლედ მას, მოარულა მასთან 4 წელსა ს. ვ. ბ. (1831—1833); იყო ნატოვსებითა სავსე, მოშიშა ღვთისა, მოწმუნე ქრისტიანე, უარსა არა დამტყვებელი სრულიად რომელთა საწმუნებისა: საუბარა მისი, მიქცეული სომხურად, არა იყო დიდ გაცური ქართული; ქვევს არა ქართველთა დიდთა გვარისა ქალთა ჩვეულებრივი; არა მოყვარე მეფისა სახლისა წევრთა და არცა მათგან ყვარებულა; — უნებდა მას დასაფლავება თვისი... სოფელსა \*)... მდებარეთა ჰეტერბურღით ცაქსკი სკოლსა, ამისთვის მოჰქვდა მან მკურნუისა რქოთი ხატი ღვთის მშობლისა და ამკობინებდა მას მრავლათა თვალითა და მარტალატითა და ნებავდა დადებულყო ხატი იგი თვით მასვე ეკვლევისა გრძელვით მისდა დანიშნულთა. მიმანსა და გავუკეთე რუსულად და ქართულად ზედა წარწერა. წარმოხუდმან რუსეთიდამ, ვერ ვსცან, სადა დადვა ხატი ესე; რადგანაც თვით დასაფლავდა სკსკის მონასტერსა.

\*) მგონია პულკოვო ერქვა სოფელსა ამას. მუნ არის ეკვლესია ბორცვსა ზედა. აქა უნებდა დასაფლავება

აჭა ორნიცა მისი წერილი, მოწერილი მამისა ჩემისადმი:

მალღ ღირსო, უფალო ეგნატი, წელსა ჩუიგ ღვინობისთვის კვ-  
სანგეტ-პეტერბურლით.

ჩემო სულიერო მამავ!

მერმთ ჩემს მაგუროხეველ მარკვენას ამოხას მოყახს ნებ და  
თქვენ მშვიდობას და თქვენის ცოდშიღლის ღმერთისა ვთხოვ. ვინცთ  
რომ ჩემს ამბავს იკითხავთ, ესრეთ იცოდეთ ჩემი ანაზვი. მარიაშობის  
თოთხმეტს აქეთ, მე ჩემს ძმა დაკათთან ვარ. თავისის ხასუბის რჩე-  
ვითა ისრე ინება ჩემმა ქმარმა. ახლა კი დიდად სწუხს და დიდათაც  
მეხვეწება რომ შეურიგდე, მაგრამ არ უშიგდესი. ამ დღით მოციქუ-  
ლებას გზავნით და წიგნების წერით ილაჯა აღარა მაქვს, მაგრამ მე  
არ ვერიდები, ღვთითაც, თუ ხელმწიფე მშვიდობით მოხმანდება, ღვთით  
ჩემი საქმე უველა კარგათ მოხდება. ამას კი თვისი ხასუბი კელარას  
უშველიან. ესრეთ იცოდეთ ჩემი ამბავი. ამაზედ მეტს ვერას მოგწერ  
მერეთ ვთხოვ, ჩემო ეგნატი, დიდათაც დაგიმადლებ: ეგ ჩემი ოცი  
თუმანი ბატონიშვილს თეკლეს გამოართვი. და ღუქების ქირა კანელ  
გურქას მიეცე მანდ და იმას აქ ფული აქვს არტემ ბულდანიჩთან, ის  
მე აქ მომცემს თავისის ანგარიშით, როგორც მანეთი გაცის. რომ  
იცი და მომიწერია კიდევ მე რომ აქ კალი მქონდა ოთხასი თუმანი,  
ზოგი მივეცი და ზოგი კიდევ დარჩა მისაცემი. კიდევაც ამას გეხვე-  
წები რომ ღუქების ქირა და ეგ ოცი თუმანი გამოართო და გურ-  
ქას მისცე და საჩქაროდ მოაწერინო, რომ მე აქ არტემ ბულდანიჩი-  
ჩისაგან მამბარდეს. ამას მაგისი თეთრი აქვს აქ და მალეც მამცემს.  
ამას კარდა კიდევ ამას გეხვეწები, რომ გურგინ ბეკასიშვილს სტეფა-  
ნეს ეგ ჩემი თამასუქი და გიორგის თამასუქი გამოართო და გა-  
მოგზავნო.

ორკვენი ფასი მიეცე ფოშტისა და არ დაიკარგება. თუ სტეფანე  
სახლში გაგდელის თეკების ქირაც გამოართვი, ისიც გამოგზავნე.

ახლა შენ იცი როგორ გაიფხუბი ჩემს მამულებსედა გურჯანსედა ან  
 ქარვასლანსედა როგორც კაის ფასათ გასცემთ. ამ იანვარში უნდა ეცა-  
 დოთ რომ კაის ფასათ მიიღეს, რომ არ დავიღუეო. ჩემი სიტყვასედა  
 მაგანსედა კიდა თუ ცოტად გაიფხუბი აქც ისე იფიქრე იმ ანვარშით  
 მომეცემა და შეტად გაიფხუბი იმის ანვარშით მომეცემა. ესრე იფიქრე  
 ამაზედ შეტს ვერას მოგწერ. მაგანსედა ეცადეთ რომ სამ-სამდინ  
 ეგეთ ავიდეს მაგისი იფარა რომ არ დამღუბოთ. თუ ესრეთ არა სა-  
 უგუნოდ დავიღუებო, მიწისტერი მისწერს ვასილიევს გურჯანისთვის  
 და ქარვასლისთვის. ახლა თქვენ იცით როგორც კარგათ მოსწერთ და  
 ან მოაწერინებთ ვასილიევს: იმის ცოლს ჩემ მაგიერ შეხვეყე რომ  
 კარგათ მოაწერინოს თავის ქმარს. მასუგან შე ვეცი როგორც გემსა-  
 ხურები. ასრე არწმუნე ეგ რომ ეცადოს კარგათ მოაწერას, ახლა შენ  
 იცი როგორც გაიფხუბი შეტადრე ქარვასლანსედა რომ ცოტას ფასითა  
 არ გასცეთ და არ დამღუბოთ საუგუნოდ. თქვენა ქრისტეს გულის  
 თვის ჩემი სიტყვასედა ხომ იცი მაგანსედა კიდა; ახლა შენ იცი, ამა-  
 ზედ შეტს უელარას მოგწერ ახლა და ამის იქით სხვას წერილით  
 მოგწერ ჩემს ამაზეს.

თქვენი მშვიდობის მისურნე შეტის რძალი ელენე.

შედალ დინსო უფალს მღვდელს ეგნატი ონისიმოვი!

ჩემო სულის მამაკ

შემეთ დიდი ხანა თქვენი ამაზე ან შემეტყვიან. მუთნია რომ  
 შემდურებით. ვერაი გეთხოვან არ გამოგიტანეთა შენც იცი რომ  
 ერთი დღე შეივინება ანა მქონის მწუხარებისა გამს ჩემის შეუღლი-  
 სავს. ცოცხალი იყო მტანხვიდა; შევდარა უარესად მტანხვას. მუა-  
 ნია რომ შენც შეიტყობდა გატაკობის ჩივილსა, აქ მინისტრისათვის  
 მოაწერა. ერმანლესს რომელიცა იმის ანსურს მოუა. ახლანსედა კი-  
 დე სწამაროდ შეიქნას. ჩემთვის დიდად საჭიროა. რომელს

წელიწადში დაიკარგა ან რომელს ჩისლოში ერთ თვით ქადაგებუ და-  
 ნიშნუ და გამოგიგზავნუ რომ ჩემთვის დიდად საჭიროდ არის მინდა  
 ლთოვინთვისაგან მოწმობა მოვატანინო სასქაროდ მომწერე. ამათ  
 უკრდა გატყავსა რომ წიგნი მომცა ის წიგნიც გამოგიგზავნე მე  
 რომ ასი თუმნის თამასუქსედ ხელი მოვუწერე თავდებობისა, მანამ  
 იმან ხელ წერილი არ მოცა მე ხომ არ ვუწერდი. მას უკან იმან  
 ერთი წიგნი მომცა რომ თუ იმ ასი თუმნის თამასუქს თეთრს მე  
 ვინმე მთხოვდა იმას უზღარის კენახი უნდა გაუიღუფიო და იმ თა-  
 მასუქსს იუგლი იქიდაშ უნდა მისცემოდა. თუმცა იმ წიგნის პირიც  
 მე მაქვს. ის რომ მუხ გუდაგებოდა შენს საჭიროდ გამოგიგზავნე  
 იმისი ახლი ვინც ის ცადილო თარიღი დავიწყებთ თუ ქრისტიანი  
 ხარ ეს ჩემი თხოვნა სასქაროდ ფოშტით ძიბოძე; რომ მალე დი-  
 თვინთვისაგან მოწმობა მოვატანო. ის ციხეში დასმას უბიძგება და  
 მე დავისხენ და ახლა ამის მაგოერია რომ მიხივის. ლთის ძაღლით  
 მამის სიმტყუნე მალე უამოახნდა. სხვა რაღა გუბეწო ჩემი სათხოვა-  
 რი შეისმინე; სხვა იყავ მშვიდობით.

თქვენის მშვიდობის ამის მოსურნე ვლენე.

დიდათ ავით ჭაკ. ეს წიგნი ავით-მოგზავნა დავსწერე. ამ საჭი-  
 როებისათვის თორემ არ შემეძლო წერა.

დეკემბრის ისე წელსა ჩუგ-ს.

LXXXIV

თვით მეუის-მე დავით ესრეთისა ქორწინებითა ჰგონებდა  
 დაკავშირებასა სომეხთა მდიდართა, ქართველთა-თანა, და მოყ-  
 ვანასა მათსა უფრობისადმი ეკლესიისა, გარნა შესცდა, სომეხნი გან-  
 ბნეულნი სპარსეთისა, რომაელისა და სხვათა ადგილთა, არიან უფულად

ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა

დაცემულნი ზღილღობითა; — უქონელნი მამულისა არიან, უქონელნი სიყვარულისა თვით კეთილის მოქმედთადმი შაშისა; დამვიწებელნი თვისისა ენისა და მოსაუბრენი სხვათა ზედა ენასა, რომელთა ივინი ემორჩილებიან, ვერ სინაობენ რასათვის არს მშვენიერებას ლექსთა და აზრთა გამოხატვისა; არა უწყიან, რა უუყარდეს, ვინ უუყარდეს; რად უუყარდეს რას უტრთოდეს: განკარდნილნი ერთობისაგან საწმუნოებისა აღმოსავლეთისა და კვალად შეზინული ლათინთა, ეკკლესიისა არა უწყიან თვითცა რასა შინა მდგომარებს მათი ეკკლესიის ღირსება. მიღთონიდგან განბნეულისა სომეხთაგან კრისა კინილა ნახევარი წარიტაცეს ლათინთა; დანაშთენი ერთ ნახევარსი დაცინებულნი უოკელგან, გინებულნი სწარსთა და თურქთაგან, არიან სრულად ცივად მხედველნი გულგრილნი, სახლი მათი სხვათა ადგილზედ, ვაჭრობა მათი უცხოთა ნათესავთან, მეკობრობა სიფრუითა, შესაძინებულად რისამე; ვერსად განიზრახვენ შეფობასა თვისსა, ვერ ვისთან იტყვიან შეიკეთა თვით ტახტისათვის; თვით მწერლობა მათი, ლათინთა მოძღვართაგან ნამუშავები, არის მათთვის ანუ ვერ გასაგონი, ანუ სავნოდ მათის ეკკლესიისა მისაღები, სომეხთა ეკკლესიისათვის იტყოდა ბესარიონ კათოლიკოსი, — სიჩცხვილიც არის ვისაუბროთ და რადა ეკკლესია ესე და რა ღირსება უნდა აქვინდეს მას, სადაცა ორი დიდი ეკკლესია აღმოსავლეთისა და დასავლეთისა საუბრობს, და მესამეცა ეკკლესია დიდი ლუტერისა ჰეავის მეტობითა მათეე ორთა დიდთა ეკკლესიათა, თვით გონიერნი სომეხნი ხშირად სადამე მოიხსენებდენ ანუ მართლდისა გულთა ანუ ცბიერობით თვითა თვისთათვის: ნუ უკვე ვინცა საჭინობოსა შინა დაიბადებოდა, არის იგი ცხენი? ესრეთ სმაგთ სხვათათანა თქმა რომელ არის იგი სომეხი.

LXXXV

შეფის-ქესა გიორგის არ უუყარდა სომეხნი, ვითარცა დამცარკველი მკვლადვე შეუობასა, ვითარცა არა მქონი მამულისა და გან-

ბნეული ქვეყანად, ვითარცა ენისა ჯრდა შექმნი და სხვათა ენათა ზე-  
და ცუდად მოუბარნი, ვითარცა განბნეულნი აღმოჩნე შართლ-მადიდებ-  
ელის ეკლესიიდან, ერი ესე ახალ ისრაილად წოდებულ იქმნა. ვაჭარ-  
ნი მსუიდავი და მამსუიდავი, ცრუნი შტეუენნი, უპატიო და უპურნი, ერთ-  
გული მისი ვისგანაც აქვს გამოსახულები და რომელიცა მას შეიყიდვის  
ანუ თუელითა, ანუ ჰატივითა, ანუ სხვითა საჩუქრითა. დავით აღმა-  
შენებელი, რომელმანცა შემოიხაზნა იგინი და დასასხლნა გოგონა,  
თვით ინანა და რდეს იხილა გარყვნილი თესლი, შეუფობისა დამკარ-  
გველი, — გრებისა კახონთა შინა, რომელიცა იქმნა ქალაქისა მცხეთის მის  
დროს, იტყვის სხვათა შორის: რათა ერი მისი ქრისტიანე იყოს მო-  
ძულე ცოდვისა მის სოდომელთა, რომელმანცა წაწევიდნა ბაბილო-  
ნი და რომელმანცა დაუკარგა შეუფობა სომეხთა. თამარისცა დროსა  
ქართველნი. განებდეს ერთობითა საწმუნოებისა, მოეყვანათ სულისა  
ერთობასაცა ქართველთა თანა.

აზრსა ამას გამოხატავს მოლექსე დედოფლისა თამარისა შავ-  
თელ... რდეს იტყვის:

სომეხთა მეფენი, შტერთა სისხლთ მჩქეუენი  
დმერთმან არ დიხს-ჭყო უფლებათსა:  
(მუხლი 25)

## LXXXVI

მეფის-მე გიორგი ხშირად იტყოდა ორგულობითსა მოქცევასა  
ჟორღანაშვილისაგან, აღწერილისა ვახუშტისაგან. მწუხარისა ხმითა  
მოუთხრობდა ვითარცა განსცა მან მეუე სვიმონ და შთაგდო თუქთა  
ტეკეობას და ვითარცა მეშვიდრემან მისმან ამოწევიტა ყოვლადი გვარბ  
ჟორღანაშვილთა დიდითა მცირემდინ და ვითარცა ერთისა ყრმისაგან, მა-  
მასთან გაბატებულითა კვლად გაბეკრდა გვარბ ჟორღანაშვილთა. ჟორღანა-

შვილისას მღვანურის-გამო, დაჩეჯან დედოფალი იტყუდა შემდეგსა-  
 გაიგონე, რა გაიმბო! დღესა ერთსა გრთავან ათასმან მკელთა შიქი-  
 თა, ვერ ჰქონა საზრდელი, ერთმან მათგანმან ჰქონა მძოვრი მინდორ-  
 სასა წაჩვიდა. და აცნობა ძმათა მკელთა. შეჰინებულთა მკელთა და  
 იტხილთა გაგზავნეს ერთი გაშედავი თვისაგან აცნობოს რა არის  
 ეს მძოვრი მერალი უმჯავლითლო უჩვეული მათდა. მისუფმან მკელ-  
 მან იხილა მძოვრი დასუნა და ნახა მძოვრი კაცისა მერალი: უკუშვი-  
 ტა და უამბო. ეს მძოვრი ყორღანაშვილისა არისო. გაქცენენ მკელნი  
 და მკერიდენ მძოვრსა ცუდსა.

LXXXVII

სომეხთა შეაწერდა ხაჩისა ოდესმე მძიმედ და ოდეს გაახსენებ-  
 დენ შეუძლებლობასა მათსა მაშინ იტყუდა: გზიგონე, რა გაიმბო!  
 სომეხსა შეარჩინე ერთი ბისტია; ერთს თვესად გახდის ერთ თუმნად.  
 ერთსა ბისტია, როგორ? ბატონო შეიგეო? ჩვენვე იტყუდა... შეუგე  
 მოგვატყუებს და ჩვენითვე კამდიდრდება.

LXXXVIII

ვითარცა მართლ-მადიდებლობისა მოუვარე, ერთობისათვის ეკ-  
 კლესიისა, მრავლად შეცადინებდა მათს მოქცევას. არა ჰქსმაგდა ეკკლე-  
 სიას მათი არცა წესი მათისა გადობისა. — მოქცევა მათი საჭიროა,  
 იტყუდა რუსეთისადა ელხისა კოკალესკისა, ქვეუხისათვის. დავილად  
 გამცემი ქვეუხისა სომეხა, ერთს გროშზე გაჭყიდის შეფესა და შე-  
 ფობასა. აქ და სხვათადა ქვეუხანაშ არა აქვს რა შესატყვიარი გული-  
 სა, არცა კოშკი მამა-მამათა, არცა ცხენი ძველი, არცა ხმალი. წინა  
 შართა არც დროა, არც მატური შეფესა. დღესაც მოსაცთუნებლად  
 სპარსთა და თურქთა, სადაცა არიან განხეულნი მათნი რომელნივე,



მარადის მოკისე დით ვაიმუშად სომეხთა უხებურთა, და თვით სარ-  
სნი და თურქნი მოისყიდინს ჩემთა სომეხთა. ასეა მათი ბუნება. დი-  
დად საჭიროა ჩემის სამეფოსათვის თესვი ესე განსხეული და მოწო-  
რებულნი ჩვენგან სარწმუნოებითა, ენითა, სწავლითა და უცხოთა ხს  
თესათობითა. — ვითარცა ვაჭარნი, საჭიროანი არიან. ქვეყნისა მცხოვ-  
რების დიდად საშიშნი და მოსარიდებელნი: არა შეაშარნი, მხდალნი  
და ძაურებელნი საწუთრისა სადა და ოდეს დაედვენ და ვისა მიემხრონ.  
ოსმაღლსა ანუ ყიზილბაშსა. თვით უპატრივემულნი მათ შორის ჩემს  
კარგად, პატრივ სრემს ფულსა და გამოსარჩენსა. ეს არის მათი ღმრ-  
თი და მას თაყვანსა ქსტოშს. ეკვლევისა სომეხთა არის ანახეთქი რაიმე ძვე-  
ლად დაწერობილისა შენობისა: ნუშტი გოდლისა დაცემულისა, რომე-  
ლიცა ჰქრეთ არ იყო უხერხულბული. — დროთა მათ ოდეს სომეხნი  
განგარდნიერ კრობისაგან მართლ-მადიდებლობისა ე. ი. რომელიცთა და  
ბერძენთა ანუ აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, — დიდნი ეკვლევისის  
სვეტნი ვასილი დიდი, იოანე ოქროპირი, გრიგორი ღვთის მეტყვე-  
ლი და სხვანი აწუბდენ ეკვლესიასა 318 წლიდამ განთავისუფლებულ-  
სა დგინისაგან იმპერატოროთა და წარმართთაგან. — ეკვლესიასა მიტე-  
მოდან წესდ და რიგთ, მშენებრეთა და სამკაული შენობათა გარე და  
შიგნისა; მოიძიებდენ ძველად მოციქულთაგან დროთაგან მიღებულთა  
კანონთა და მცნება დღესასწაულთათვის! აღიწერებდენ მოთხრობანი  
მოწამეთა და ღირსთა და სხვანი. — ესე ყოველი იყო მამუხი, რომ  
მელ სომეხთა ეკვლევისა დაშთენილი გარე ერთობისა დიდ ეკვლესიას-  
თა თანა მღვდლისა ვითარცა შვილი უძლები ქობის კელსა ბრძად  
და უპატრონოდ, უპურიან წესდება ძველისა დაუფუძნებელსა ჰქრეთ  
ეკვლესიისა, ე. ი. შობა და ნათლის-ღება დღესა ერთსა. მარხუთა  
დღენი ნებსითნი და მოკვალეობითნი; და ბეჭედი მღვდელ-მთავართა  
ხელთა-ს და ვითარცა აქვდათ არიოხელთა ოდესმე: უცხოთათა სუდა  
შეწირვა, სამწმინდაობისა ზედა გაღობის დამატება: რომელი  
ჰქარს ეტება ჩვენთვის. — ლიტურგიას არცა ვასილისა, არცა  
ოქროპირისა. არცა გრიგორისა ღვთის-მეტყველისა დიდსა შობათ-  
ვხოვრება-ზედის გიორგი XII-ს

სა განსხვავებას თუკნითა და უბოთი, ერთის სიტყვითა აღარ ესმათ  
ხმა და სწავლა აღსარებათა, რომლითაცა დაიუშნდა ეკკლესია მსოფ-  
ლითა ე. ი. აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. განშორებულმან ქრის-  
ტიანობისა დედა-ქალაქითა, — რომსა, კონსტანტინოპოლისა, ანტიოქიასა,  
ალექსანდრიასა და იერუსალიმსა. სომხითმა არღა ისმინა რამე, და  
ვითარცა ურუ, დაშთა ბრმად მჯდომი შორის ორთა; სამეოფლოთა სხარ-  
სეთისა და საქართველოსა. შემდეგ განხეულმან ჰიქსა ქვეყანისასა,  
ვითარცა ახალთა ისრაილთა, არღარა მიიღეს მათი და მხოლოდ დრო-  
თი დროთ დასუსტებისა გამო თვით სასურმეთისა, — წარიტაცეს ლა-  
თინთა მიწაში, ლიბანსა, ორუტვისა და თვით ევროპის ნაწილებ-  
შიაც, სადაცა იგინო შეინიზნეს ჰაზისა მასსათა. დღესაცა ჰგალობს  
შარკანთა შანა თვისთა ე. ი. საგალობელთა გალობასა და შეურაც-  
ყობასა ხალგიდონისა კრებისა კანონთა; უწოდებს მას მტელთა  
ხროკად; თუღაიანეს მოწამესა გონებს მწკალეულად; ადიდებს და აღიარ-  
ებს წმიდა დიოსკორესა და ევტიქისა, და რად? თვით სომეხთა  
ეკკლესიამან ზრა უწყის. მაგინებელი ხალგიდონისა კრებისა, აღიარებს  
სწავლათა და დოქმატთა, მუნ დამტკიცებულთა; აღმსარებელი წმიდა  
დიოსკორესა და ევტიქიასა, — არა აღიარებს დღეს მათთა წვალბათა,  
რომელთათვისცა განიდევნენ იგინი და შეჩვენდნენ. — ესე ვითარნი  
უწესობანა აქვს სომეხთა ეკკლესიასა, — ობლად, გარედ დაშთენილსა  
და მტერთა მათ შინაგანთა (ნახუარ სომეხთა ე. ი. გათრანგებულ-  
თა) და გარეგანთაგან დასარტულსა და დანებებულსა სიმცირისა გამა  
სარწმუნეებისა მათისა აღმსარებელთა. თვით რაცხ ესე არის განხეუ-  
ლბ, შიფანტული სხუათა და სხუათა ქვეყნისა კერძოთა, არა მექონი  
მამულისა და დედა ქალაქისა; არცა კათედრის ერთობისა. სხუა არის  
კათოლიკოსი ემიაწინისა, სხუა არის კონსტანტინოპოლისა და სხუა  
მისისა ადგილისა, რომელნიცა ერთი მეორესა არა მოწიილებენ და  
არცა ვისგანმე დამოკიდებიან. კატენიზმოსა ანუ სისტემაცა ღვთის-  
მეტყულებისა მათისა ეკკლესიისა არს კათოლიკეთაგან შედგენილი  
რომისა ეკკლესიისა წესდებითა, და საკუთარი რაიცა აქვსთ, ანუ

რუსთაგან შედგენილი, ანუ არა სრულიად და ნათლად გამომეძიებული შათთა დოკუმენტია.

LXXXIX

მეფემან გიორგი გამეფების შემდგომად მასწავრა წერილი მეფეთა ჩამომავალსა, ვახტანგ მეულის ძვილსა, გიორგი ალექსანდრესძეს გრუზინსკის, რომლითაც ევედრებოდა მოჭსტეს და დაუბრუნოს ქვეუნიის ჯვარი წმიდისა ნინასი. წერილი ესე იყო მესამე, მიწერილთა შორის მეფეთაგან თეიმურაზისა და ირაკლისა. ვახტანგსა სომეხსა მიმავალსა ასტრახანსა, ვახტანგ იგი და უბრძანა გარდასტეს მუხით სიუნი ნოკოროდსა, სადაცა სადგურობდა თვით გიორგი ალექსანდრესძე. კობიო წერალისა ამის, დაწერილისა მამისა ჩემისა ხელითა, არის ესე: უგანათლებულესო და დიდებულო ძმად და ბიძად საგულებულო გიორგი თანა-მოსახელეო ჩემო, (ეს ლექსი თვით მეფეთა ჩაერთო)! დმერთმან მამათა ჩვენთა, ინება და მომცა ტახტი ქართველთა მეფობისა, კახელებისა მტერთაგან, აკლან ახალი რაიმე წყალობა, სასოება და სუკეში. ჰაჰისა და მამისა ჩემისა თხოვითა დაურთავ ევედრებასა ჩემსა: მოანიჭეთ ჯვარი წმიდისა ნინასი, — საუხუკე ქართველთა ქართველთავე; ჰქმეჩით სახელი და სახექართთა ამით დასახუქრეთ ევედრისა წმიდა ჩვენი. გასსვენებულმან გიორგი ჰაჰამან თქვენმან მოსტა ხატი მვირისი დგონის-მშობლისა სიონისა და ვახტანგ სიქადულად. სუ მახედაეთ დროთა წარსულთა და რჯახისა შელოთს: თუ ინებებთ და თვით მოხრძანდებით, რესტორც იწერება გაიოს ასტრახანნიდგან, დიდად მოხარული ვიქმეხები; ვეცადები განიამოკნო და გაამო ვითარცა ძმასა ძმამან და ბიძასა ძმის-წულამან. ინებეთ დმერთმან ეს აღსრულდეს მოხრძანებადმდე თქვენისა, ინებეთ ბოძება ხატისა, აკურთხეთ მით კვალი გზისა თქვენისა რუსეთით ქვეყანასა ჩვენსა და განუსვენეთ ესრეთ დიდსა დროითა მოლოდინსა. ველთ

მას-უხსა მგცა და სამღვდელთა და საერო და კრიც. მოკითხვას მოგახსენებ სახლობასა თქვენსა სისხლსა და ხორცსა ჩემსა. ამბავი ჩვენს ქვეყნისა მტერთაგან შევიწროებულისა, თქვენც მოგეხსენებათ. რუსეთი თუ არ შეგგეწია უჭირს საქრისტიანოსა. ძაქვს მიწერ-მოწერა რუსეთის ხელმწიფოსთან. სპარსთა ველარ გუნდობით. თურქნი ავის თვალით გვიყურებენ. ლეკი ვერ დასცხნა ავასაკობისაგან, შინაურის მტერის არ მეშინიან. არიან მხსავანი კატანი. რომნი გედგინის შვილს უბრძანე მოსვენებით იყოს: ნუ კადნიერობს, გაიღვიძე უსადური არის სადმე მისი. იმას ნურას უწმუნებით. თქვენი ერთ-გული ძმა და მეგობარი გიორგი.

გენაის 10 დღეს.  
1798 წელს.

მეტე  
გიორგი

ეს წერილი იყო უგანასკნელი მიუყოფანი ვაგრაისთვის წმიდის ნინასი. მიუგის-ძეთა შირიან, ფაჩნაოზ და სხვათა მიამბეს, რომელ მეფესა გიორგის სხვადა აქვდა წერილი შავლუ იმპერატორთან მისაწერი, და წერილი ხელმოწერილი და ბეჭედ დაუბეჭდი, რომლითაც კეკელიძე მას გამოსთხოვოს იგი უსამართლოდ დამნაშტრონებელთა ვაგრაისა. უკეთუ იხილეთა ამითადა არა ეშველებოდა საქმესა, მაშინ ავირებდა ექმნა ვრება სამღვდელთა და ვრებისა განახლებისა ძალითა მოკითხვისა საურჩე ქვეყნისა. ექადოდენ შეჩვენებითისა განხილებათისა წარუქანასა. ესე და მორიდება რუსთა იყო მაჩუხაო, რომელ გიორგი ალექსანდრეს ძე დავუკრა და წარუგლინა იმპერატორსა შავლეს (ალექსანდრეს) და აწინ შემდგომ გარდავაქალისა მიუგის გიორგისა წარუქანასა საქართველოსავე 1801 წელს და დაიდვა საფარველად ერისა სიონისა თბილისს კეკელიძისა შინა.

თავკანის საცემლად ვაგრაისა ამის წარვიდოდენ ქართველთა მღვდელთ-მთავარნი მოსკოვიდამ ნიყნი ნოკოგოროდშია ს. ლიხტო-

კოს: ჰაფნოტი არჩივისკოპოსის ხოზიაშვილი. 41) იოანე მიტროპოლიტი მრევლს შეოფელი, ნიკოლოზ თბილელს, ზენონ ჯღაჯღელი და სხვანი. კათალიკოსი იმერეთისა მასამე დიდად მოსურნე ჯვარძსა ხილვისა წარვიდა მოსკოვით და თაყვანი ჰსცა მას. მტრედიცა, სწილი მისი, წარმოიღო, მითხრა არხიმანდრიტმან ტენათასა მოსტუმან სვიმონ წულუკიძემან, — ესე შიამოლო, მეტყოდა, ჯერეთ უმაწოდეს სოფრონიხს რინკორ წმინდელმან წულუკიძემანჟე გვარად, არხივისკოპოსად იმერეთისა გარდაცვალებულმან 1844 წელსა მეფისა გიორგისა, ნინასტან, მეუღლისა გრიგორი დადიანისა ასულასა ვიცი ესეცა რომელ მოსკოვასა მიტროპოლიტსა პლატონს, მოეწადინა ხილვა ჯვარძისა ამის დროსა ხილვა ჯვარძისა ენება იმპერატრიცა ეკატერინესსა და ოდეს უჩვენეს

41) ჰაფნოტი არჩივისკოპოსი მოქვისა (სამურაპიანოს ანუ აფხაზისა) გვართ ხოზიაშვილი, მე მეკონდახისა და თვითცა იწოდა ხელოზა ესე. 24 წლიდგან შედგა ბერად და ანლდა კათოლიკოსსა ანტონის დიაკვნად. შემდგომად გარდაცვალებისა გიორგი მეფისა, ბატონის-შვილის იოანეს თხოვითა 1802 წელსა აკურთხეს იგი არხიმანდრიტად თირისკ მონასტრისა დიდლიანზედ. შემდგომად გარდავიდა მეგრელიაში დედოფალს ნინასთან, რომლისა ქმარმან დადიანმან კრიგორი წარავლინა დესპანად რუსეთსა. ჯილდოდ ესრეთისა, დესპანობისა მიუბოძეს არჩივისკოპოსობა მოქვისა. 1811 გარდაჰყვა დედოფალს ნინას რუსეთსა და დაშთა რუსეთსაჟე მოსკოვის ჩუღოვის მონასტერში, აქა გარდაიცვალა 1823 წელსა 50 წლისა და მუნვე დაეფლა მოსკოვისა არჩივისკოპოსსა აგვისტინეს დიდად არ უყვარდა იგი მეშურნეფითა, რამეთუ დიდად ჰატევი სწემდენ მას მოსკოვისა მცხოვრებნი იყო კაცი მოხუცარი, მხიარული, პურადი და ყოველთადაც სიყვარულითა აღსაყესე მთავარმან საქართველოისა ცრიტიანოვმან წარგზავნა იგი კაიშაურისა მთიულთა დასამშვიდებლად. აქა იტყოდა თვით, 40 ხანჯლითა მხვლიტესო და დამიფარაო სიკვდილისაგან და სირცხვილისა მეფის ქემან ფარნაოზ. 1815 მოვიდა დროებით თბილისსა და ექსარხოსმან ვარლამ ქსისის ერისთვის შვილმან არ აწირვინა სიონში მტერობითა. ესე იწყინა მან და ჰყვედრიდა მას ესრეთსა მისდაში მოქრევასა, ოდეს მოვიდა თვით მოსკოვსა, სადაცა გარდაიცვალა, ვითარცა გადაყენებული ექსარხოსობიდა.

იგი მას მოსკოვს ერჩივნა მეზატრონეთათვის წარგზავნა მისი საქარ-  
თველოდგე, მიუცათ მათა პირობა და ვერ გაიმეტესო შემდეგ ეს  
ამბავი ვიცი იონა მროველ მიტროპოლიტისაგანაო შემდეგ ღაქეთა დაგ-  
ვირგვინებისა ალექსანდრე პირველისა. ოდეს წარკვდევით მიტროპო-  
ლიტთან პლატონთან, მე და ძმა ბაგრატ, მეტყუიდა მეუფის-მე მისილ,  
მოგვილოცა ჩვენ ვჰარისა წარგზავნა ხელმწიფისა ალექსანდრისაგან  
საქართველოდ, დიდად იამა მასცა ესრეთ სიყვარულითი მიხედვა იმპერ-  
ატორისა ქართველთადმი.

XG

მოაჩველობა რუსეთისა, 1783 წლიდან დამტკიცებული ტრაქ-  
ტატითა, აქვდა იმედით პირისპირ სპარსთა. ამისთვის სწერდა წერი-  
ლითა ელჩსა თვისსა გარსევან ჭავჭავაძეს და მათ არწმუნებდა რუ-  
სეთსა თვისსა ერთ-გულეზას. გარსევან ჭავჭავაძე, სათნო და სამიე-  
დლი მეუფისა გიორგისაგანცა ჭსძულაობდენ მას, მეშურნებოდა რაგ-  
დენნიმე პირნი კარის-კაცნიჲ გარნა ვერ გასედადენ მეუფისთან რასამე  
მათხედ უშეკრისა თქმას. ელიაზარ ფაღავანდოვსა ჭსურდა დანიშნუ-  
ლიერ ნაცვლად მისსა რუსეთისა კარხედ: მოახსენეს ესე მეუფესა და  
დიდად შოკის დანიჭინა. ერთ-გულეზასედა გარსევანისა სრულიად იერ  
მეუფე დარწმუნებული. და მისისა შვილისა ალექსანდრისაგან ვიცი არა  
ერთგზის თქმულად, რომელ მამა-ჩემი გარსევან იერ შემადგენელი  
ტრაქტატისა მის, რომლითაცა შეეკრა რუსეთსა მეუფე გიორგი 1799  
წელსა. მამასა ჩემსაო, მეტყუიდა ალექსანდრე, ჭსმაგდენ მეუფისა ძმა-  
ნიო და თუმცა არ უყვარდა მეუფე გიორგი, სუსტად დროთა ამით-  
თვის გასაჭირთა სეგონებელი ძმათაგან, გარნა დიდად ესვიდა, ვითარ-  
ცა კაცსა სკინიდასიანსა, ქვეყნისათვის მზრუნველსა და გონიერსა  
ჭაზრითა და მოქმედებითა, რომელცამდინ მეუფის წერილი, რომელნიც  
აქედენ ალექსანდრისა, მიწერილი მამისა მისისადმი, დიდად მოწმე-  
ბენ მეუფისა გონიერებასა და სამეუფოისა თვისისა დაწვებასა და გან-

გებასა.“ წერილნი ესენი არღარა არიან შემდგომად აოხრებისა წინანდელს მისისა სახლისა ლეკთაგან, რომელნიცა 1855 წელსა დაუწვეს სახლი და წარასხეს სახლობა ჭაუჭავაძისა. ხშირად განმხნელებოდა მკაფისაგან, რათა ჰპატრონობდეს მისსა სამკვიდრებელსა კანქოსა დროდმდე შესრულებისა საქმეთა რუსეთისათანა. მეფემან დღესა ეროსა უბრძანა ავალის-შვილსა, ეტადე, იყო ერთ-გულად სიძისა შინისა გარსუკანისაო. შემეწიე მეცა და ნუ დამხროგავ, თუ ვიქმნები საჭირო შენთვის. გარსუკან ჩვენთვის ჭინახულობს რუსეთში და ჩვენ მისთვის ვიჭინახულოდ აქა. იმას იქ არა უჭირს რა შვილი მისი ალექსანდრე, ნათლული იმპერატრიცა ალექსანდრასი და კეთილად აღზრდილი, შვილია ჩემიცა და გამოსადეგი ქვეყნისათვის. მოუწერია კვანძიო საქართველოდ, დიდად მიაშობა მისი ნახკა. — ეს ამბავი მიაშობ თვით გიორგი ავალის-შვილმან მოსკოვს. იყო მეგობარი მამისა ჩემისა, და აქვანდა მასთან მიწერ-მოწერა სიკვდილადმდე და იაზა ჩემი ნახკა, ჩემთან საუბარი და გაცნობა. იყო თვით მწერალი და გადმომღები რუსულითა ქართულად წიგნთა შრავალოა. ამავე დროსა ვინაჲ პირველად და უკანასკნელად მასთან სახანხავად შემოსული გიორგი ალექსანდრესძე გრუზინისკი, რომელმანცა მიაართვა ვვარი წმინდის ნინასი იმპერატრისა ჰაველს, ალექსანდრეს და კონსტანტინე პატონის-შვილს, ძე იმერთა მეფისა დავითისა, — მეფისა ირაკლისაგან იმერეთით განდევნილისა.

## XGI

მოუთმენელად ელოდა მეფე გარსუკანისა წერილთა. მეფე გიორგი ეტოლდა დავით თარხნის-შვილსა: როდესაც მოვიდოდა მისი წერილი, შეჭერიდა მდივან-ბეგთა კუნატი თუმანის შვილსა, თეიმურაზ ციციშვილსა და მდივანთა რომელთა შორის იყო ერთ-ბეგთ-ბეგთ-შვილი სომეხი და დიმიტრი (ქართულად) თუმანის-შვილი მოლექსე. ესრეთმან მოლოდინებიდან მარადის შეიქისაგან, გარსუკანის წერილთა მიცნობება მეფის გიორგი XIII-სა

ლებსა, მიაწოდეს სხვანი მიუხდობელობასა და შიშსა განცემითსა  
გარსკეანისაგან. მეოვე ფრთხილი და მღვიძარე საქმეთა შინა, არასა  
ჭგონებდა ცუდად ელხისათვის თვისისა და ამისთვის ოდესმე დროთა-  
დროთ შეჭყვანდა სირცხვილსა და კდმაში. გარსკეანისა მტკრთა სურ-  
დათ, მეთვის მიმაღულთა წინა-აღმდეგთა, დაეშორებინათ გარსკეან  
მეთვისაგან, რომელისადა გული ვერ გაიგრილეს მასსკად, ვერცა გაჩის-  
კატთა, ვერცა ძმათა, ცუდად მისთვის მოსაუბრესმა, ვერც დედოფალ-  
მან დაჩუქან, რომელიცა ჭსწყალობდა მას წყალობითა გამო მეთვის  
ირაკლისა და ჭგონებდა, რომელ შეჩებოდა მას და შვილთა მისთა  
ერთ გუჯად დროთა შიგოთისა და ამოხნთა, რომელთადა ამწარებდენ  
მეთვისა გიორგის. გარსკეან, უმეტეს გამოცდილი საქმეთა შინა, მე-  
ტის მნახავი და უკეთ მზრახველი, იყო მტკიცედ და შეურყეველად  
თვისსა მოვალეობასა სედა. ჭაზრი ზისი იყო ემსახურნა მამულისათვის,  
ჭიკიჭობდა მევისათვის და დამშვიდებისათვის აღრულოთ ქართველ-  
თა, მოკლედ იცნობდა მევის ძმათა და შვილთა; ოდესმე ასმენდა  
მათ და ამხილებდა. თვით დედოფალსა დაჩუქანს, მწყალობელსა  
თვისსა, მოჭსწრა წერილი მკვასე სადმე შიგოთათვის დაუტნობ-  
მელთა და დიდად არა მოეწონა არცა ანდერძი მევისა ირაკლისა, არ-  
ცა მეცადინება თვით დედოფლისა, რათა აღვიდეს ტახტსა და მეუობ-  
დეს მაგალითისა მეორე ეკატერინასსა. წერილისა ამის ზირი აკით გარ-  
სკეანმა წარუდგინა მეთვისა და ოდეს ჭსცნო ესე დედოფალმან, დიდად  
იწყინა და დააბრალა ზირ-მოთხეობასა. მხლებელნი დედოფლისა ეცი-  
ნოდნენ გარსკეანსა, ჭყუდრიდენ მას და ოდესმე ურიგოდცა მოხს-  
სენებდენ.

დროდ არხივი რუსეთისა გამოაჩენს, რაოდენს მაღლად იდგა  
გარსკეან გონიერებითა და საქმითა სხვათა სედა ქართველთა რაიცა  
მე ვიცი არხივისა საქმეთაგან, რომელთადა მე აღმწერელი მეთვისა  
ცნობებისა არა შეეხება — ვიტყვი გარსკეანისათვის, რომელ დროთა  
ამათ იყო იგი სკეტად მტკიცედ მეუობისა, ერთ-გუჯად მეთვისა და  
მამულისა. მკობელი მის ჭსცნადეს.



XCH

გაბეჭდებულმან გიორგი, მრავლად მწუხარებან ძმთაგან შოგოთისათვის, ჭსნო სიტყვა: თქმული მღვდლის იოსებ თურქის-ტანის შვილისაგან საწინეჲად მიუზედ: ეს ახაზიც ვაღბიაო! — მეუემან მეორეს დღეს დაიბარა მღვდელი, მიაგიოთხა, გამოჭკითხა ამავე ქალაქისა და უბანა მაუტანოს და მიანთოს ოქმი რავდენთამე კომლითა კაცთა, ბოძებულთა წინათ მიუეთაგან, რათა დაამტკიცოს მან ვითარცა ახალმან მეუემან, — ხვეულებითისა წყრითა, მეორესა დღესა მიანთოვ ოქმი, აილო მეუემან ოქმი და უკუგდო წყვლსა, რომელიცა ენთობდა ბუნარში, და დაუმატა სიტყვა მისივე მღვდლისაგანე თქმული: ეს ახაზიც ვაღბიაო! მრავალნი მრავლად ბორბლად ანუ უშკურად განმარტებენ მეფისა ესრეთსა მოქმედებასა. საქმე ესე აქმნა საჯნუელად ღვთისა, უშეუკად შეიისა მოხსენებულისა. რა უწესობაა ესე დროთა მინეღვითა? ნუ უკვე სხვებრი ჭსჯულისა მებრ საჯნელი, განვიცხვისათვის მეფისა იქმნებოდა უმეტეს მსუბუქი? განახილონ ესე მკითხველთა და მსმენელთა.

მემდეგ რავდენისამე უამისა მასვე მეფეს მიუწავლა მღვდელი იგი ტურქის-ტანის შვიდი ხემარი და ადრითვე მეფესთან დაახლოებული და უბოძა ახალისა ოქმითა უმახი და მამუდნი ძველსა წყრულში მოხსენებულნი. — მასინ მღვდელმან გამხიარულებულმან მოახსენა სიტყვა ფსალმუნისა: „წავლობასა და სამართალსა ცაქებდე შენ, უკვალო.“

მღვდელი ეს ღრმად მოხევი გარდაიკვალა 1820 წელსა. თბილისს, და მანადის კეთილად მომხსენებელი მეფისა აკურთხევედა მეფობასა მისსა და შვილთა მისთა.

XCHH

ოკტომბრის თვეს სვეტი ცხოველობისა დღესასწაულობისა გამო მიბრძანდა მეივე ქ. მცხეთას, ჩამოხდა ცხენიდან და იხილა კაცი ცხენოსანი, რომელიცა მოაჭენებდა შორით მცხეთისაკენ. — მოახსენეს მეივესა, მუხრან ბატონი მობძანდებოა. შემოსხურებისა აიხმისა შვიდა დიდსა ეკლესიასა და ხმითა მალღითა წარმოხატკა: სვეტო ცხოველო! შენ მიაგე მტკრთა ჩემთა; შენდა დამიცხ უოველი სასოება ჩემი. — იწვეს მწუხრი და შემდგომად მწუხრისა მოვიდა კაცი და მოახსენეს: ცხენიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა მუხრანის ბატონიო! შესწუხდნენ მეივე და კათოლიკოსი, დაიწერეს პირვეარნი და ეკვირვებოდნენ ესრეთსა უყვარსა აშბავსა.

კაცთა მოსრულთა და მოაშეთა მოახსენეს. იოანთხელას რომ გამოასცილდა ბატონი იოანე მუხრანის ბატონი, დაიძხეს მღევარიო. 50 კაცითა მხლებლითა, გამოუდგნენ ლეკთა არაგვის პირზედ მიმალულთა და ოდეს მიახლოდნენ, დაუწვეს თოფთა სროლა. უგუ ქცეულთა არაგვისაკენ მდინარისა გზითა. მაშინ დაბრუნებული მუხრანის ბატონი გადმოვარდა ცხენიდან, წვეთითა ვებული, და მსწრაფელ გახურტკასული. — მუხრანის ბატონმა არა იცოდა მიბრძანება მეივისა მცხეთასა და არცა გონებდა ჯერეთ მეივისა ნახვასა, რომელიცა მას არა სწყალობდა. მან სცნო ესე უგუნქეულისა კაცისაგან, რომელიცა წინათ იყო გამოგზავნილი მოსამზადებულად ბინისა მისთვის მცხეთას. ზოგთა მიაწერეს ესე უმეტარი და მოულოდნელი სიკვდილი, ძლიერსა წყენასა, მოულოდინებულად მეივისა მიბრძანებისა გამო მცხეთას, ზოგთა მეივისაგან წვევითა წართქმულთა სიტუვასა და ზოგთა დალაგა ლეკნისაგან ლეკთა დასისა და ვითარცა ბრკესა, სისხლ ქარბსა კაცსა, მარადის ეშინოდის სადმე დაშბლისა.

მასვე დროსა არცა მოახსენეს მცხეთას ეკამი, წაასვენეს იგი მუხრანსა; თვით მეივემან მისწერა, სახმამრისა წერილი დასა თვისა,

მეუღლესა მისსა ქეთევანს და შემდგომად სამისა დღისა მოიტანეს  
გვამი და დასაფლავეს მცხეთას, ვითარცა საძვალეთსა მათსა. მუხრან  
ხატონობა უბოძა და დაუმტკიცა შვილსა მისსა კონსტანტინეს.

შეწუხებული მეფე სამეფოსათვის დაუწუნარებლისა შინა შეოთ-  
თაგან და მტერთა ლეკთაგან გაქვავისაგან. — ჰყოქრობდა და განაზ-  
რავიდა რუსეთისადმი ქვეუნიას გარდაცემას. ზატრომან  
ნაგოლა გვარით რეტილიანომ „(ესე განაძიეს ქართლით მინისტრის  
ბრძანებითა 22 ნოემბერს 1801 წელს.) მოახსენა მეფეს: ევროპისა  
მეფეთა ვერ უძლებს სსპილო შენი ტბილი. წესდება მათი და ჩვეუ-  
ლება იქმნება სამძიმო თქვენთვის. დამონებული სხვათაგან მეფობა  
არის უბედური და შარადის საშწუნარო. სხვათაგან დამოკიდებული ქვე-  
უნიას იქმნების დაცინებული და საკიცხველი. უცხო ნათესავი, ზატრო-  
ნად ქვეუნიას მოყვანილი, შეეჭმინს ერსა მტერად და მდევნელად, და  
შაწუხებულად. მამაშვილური მთავრობა მეფეთა გარდაქცევა მამინა-  
ცვლისა და დედინაცვლისა სახედ სიყვარულის უგვანისა და ბუნებისა-  
გან არაოდეს აღსარებულისა. რუნნი შემოიტანენ შირველადვე მძიმესა  
უღელსა და დასდებენ ქვეუნიას კისერსა; მოითხოვენ დიდთა ხარჯთა  
რომელთაცა თქვენ ვერ შესძლებთ. მაშინ თქვენნი მამულნი და ყმანი გაის-  
ყიდებიან ბარბანით და მკვდარნი თქვენნი დამარხებიან მუზიკითა.“

დღესაცა სიტყვასა ამას ზატრომისაგან თქმულსა მოგონებენ თბი-  
ლისისა მცხოვრებნი, ოდეს მუსიკითა უძვიან საილავამდე მიცვალე-  
ბულთა.

ჩემო ზატრო! უზასუნსა მეფემან, დავსუსტდით, გაქრება ქრის-  
